# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 20 ნოემბერი 2006 №269 (2891) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორლესული 2:2

## ამერი — ოლიმპი: ორი ტაიმის ბედის ტრიალი



„ამერის“ პირველი საპასუხო გრიგოლ დოლიძემ გაიტანა

# გახსოვდეს ქართული!

## შენ დაუკა, ელდა ეცა ხანჯალს





საქართველოს ფალავანი ზვიად ხანჯალიაშვილი

შაბათ-კვირას სპორტის სასახლეში საჭიდაო ხალიჩა გაიშალა და ქართული ჭიდაობის ტრადიციული ზეიმი მოეწყო. პირად პირველობაში 2006 წლის ოთხი უძლიერესი მოჭიდავე გამოვლინდა, მერე კი სხვადასხვა წონიანები უმთავრესი ტიტულისთვის — აბსოლუტური ფალავნობისთვის დაეჭიდნენ ერთმანეთს. ჩემპიონი ყველაზე მძიმე და მაღალი ზვიად ხანჯალიაშვილი გახდა. გოლიათი ძიუდოისტი ისე გაფალავანდა, რიგიანი წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია.
ეს შაბათს იყო, კვირას კი გუნდური ჩემპიონატი — პრეზიდენტის თასი გაჩაღდა. საქართველოს ლამის ყველა რეგიონის თოთხმეტი გუნდიდან უძლიერესი თბილისი ამოჩნდა. თასის ფასი ქულა დედაქალაქელებს მძიმეწონოსანმა ძიუდოისტმა ლაშა გუჯეჯიანმა მოუტანა.

# დაკობილი კოტბუსი

ლევან კობიაშვილმა ურუგვაისთან გატანილი გელზენკირხენშიც „გაიყოლა“ და ამჯერად „კოტბუსს“ გაუტანა სტუმრად. „შალკე“ 3:2 იგებდა, როცა 82-ე წუთზე „კობიმ“ კევინ კურანის პასი მიიღო, მეკარეს გასცდა და საბოლოო გამარჯვებისა შეაგდო. „ხუმარები“ ბუნდესლიგაში გალიდერდნენ, თანაც ორქულიანი უპირატესობით. ლევანის გუნდს პირველ წრეში ხელსაყრელი კალენდარი დარჩა და, სავარაუდოდ, ახალ წელს ბუნდესთამადად შეხვდება.

რუსულ პრემიერლიგაში ერთი ტური კიდევ დარჩა, მაგრამ ყველაფერი ბოლოსწინა ტურში გადაწყდა. ცესკა ჩემპიონი გახდა, ჩვენ კი ქართველებისა ვთქვათ: ლევან გვაზავამ პირველად ითამაშა ნალჩიკის „სპარტაკის“ ძირითადში, მოედანზე 90 წუთი გაატარა და ანგარიშიც მან გახსნა — 44-ე წუთზე 30 მეტრიდან მარჯვენა მაღალ კუთხეში ჩასვა ბურთი. რაც შეეხება გოგიტა გოგუას, იგი მცირე ტრავმის გამო არ გამოჩენილა. ნალჩიკელებმა სტუმრად 2:1 სძლიეს ამჯერადაც დავით მუჯირის გარეშე მოთამაშე „კრილიას“.

შვიდთვიანი შესვენების შემდეგ „ლოკომოტივის“ მთავარ გუნდს დაუბრუნდა გიორგი ჭელიძე, რომელიც „ამკართან“ (3:1) შეხვედრაში 46-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და მატჩის მიწურულს ისევ შეცვალეს. თუმც იქამდე „პაჭელომ“ ერთი საგოლე პასის გახერხება მოასწრო.

ყაზანის „რუბინმა“ სტუმრად „სატურნს“ 2:1 რომ მოუგო, ქართველთაგან მხოლოდ ლაშა სალუქვაძემ ითამაშა და ისიც 88-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე.

კვლავ წააგო „შინიკმა“ („ზენიტთან“ 1:2), ჩვენიანთაგან მხოლოდ ალეკო ამისულაშვილმა ითამაშა — 69-ე წუთზე შეცვალეს. ზურაბ მენთეშაშვილი კი სათადარიგო იყო.

ჰოლანდიურ ერედივიზიონში პრინციპული მატჩი წააგო „ალკმაარმა“. შოთა არველაძის გუნდი ორჯერ აგებდა სტუმრად „ფეინოორდთან“, ორჯერვე გაათანაბრა, მაგრამ მესამეც გაუშვა და ველარ გაქვითა. შოთამ 90 წუთი ითამაშა, თუმც ამჯერად უგოლოდ დატოვა მოედანი.

მეორე ბუნდესლიგაში ისევ კრიზისისმაგვარი დაეწყო „ფრაიბურგს“, რომელმაც „კარლ ცაისთან“ 1:2 დათმო. ალექსანდრე იაშვილმა სრულად ითამაშა, თუმც არცთუ აქტიურად, ოთარ ხიზანეიშვილს კი გრიპი აქვს.

სტუმრად მოიგეს მათე ღვინიანიძის „მიუნხენ 1860“-მა და დავით სირაძის აუე-მ. პირველმა „კიოლნს“ სძლია 2:1, მეორემ „ესენს“ — 1:0. ღვინიანიძემ 90 წუთი იბურთავა, სირაძე კი მსაჯის დამატებულ წუთებზე შეცვალეს. აუე-ს ქართველმა შემტევმა ყვითელი ბარათიც მიიღო.

უკრაინაში უგოლო სერია შეწყვიტა ვასილ გიგიაძემ. მისმა „კრივბასმა“ 3:1 მოუგო „ხარკოვს“ და მესამე ბურთი სწორედ ვასომ შეაგდო.

სხვა ისეთი, დიდად გამოსარჩევი ქართველებს უკრაინაში არაფერი გაუკეთებიათ.

**ილია ნანობაშვილი**



ლევან კობიაშვილს გააქვს და გააქვს




ამერელ ბიზო ჯელაძეს
და მორენა გადელაიას
ვულოცავთ
ქალიშვილის
დაბადებას!
გიდღეგრძელოთ და გიბედნიეროთ!
ამერელები


## საქართველოს ჩემპიონატი 18

უმაღლესი ლიგა. I წრე. [illegible]



# გამოვიდა იაშკა და...

## ჩიხურა მეორე ტაიმში აიმღვრა

თბილისი. 18 ნოემბერი. 14 საათი. მიხეილ მესხი. 200 (ტევადობა 25 600)

### დინამო 3:1 ჩიხურა

1:0 ხუციშვილი (56), 2:0, 3:0 იაშვილი (74, 79), 3:1 კაკალაძე (87პ)

| | |
|---|---|
| დინამო: გრიშიკაშვილი, ლ. ნოზაძე, შ. კაშია, გიგაური, ნავალოვსკი, ხმალაძე, გ. მერებაშვილი (ს. იაშვილი 46), გრიგალაშვილი (დ. ოდიკაძე 70), ს. კობახიძე, ხუციშვილი, დვალი (ბობოხიძე 86) | ჩიხურა: მამალაძე, მემარნიშვილი (გვეტაძე 46), ლ. მერებაშვილი, ა. ბურნაძე, თედორაძე, ბუცხრიკიძე, ლ. ვაშაკიძე, თავბერიძე, მარგალიტაძე (კაკალაძე 66), ჩომახიძე, გ. მიქაძე (ლ. ჩხაიძე 86) |
| *სათადარიგონი:* სტურუა; გ. კაშია, თომაშვილი, ჩირიკაშვილი | *სათადარიგონი:* დოლაძე; ბრეგვაძე, ზამბახიძე, სულთანიშვილი |
| მწვრთნელი: დუშან უჰრინი | მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი |

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე; ო. ხეცაძე



**ილია ნანობაშვილი**

**ვინც** სანდრო იაშვილზე ამბობს, მხოლოდ თავით თამაში შეუძლიაო, გუშინ აზრს შეიცვლიდა — 21 წლის ფორვარდმა ორივე გოლი ფეხით შეაგდო და ფეხითვე გააკეთა ისეთი საგოლე პასი, საქართველოს ჩემპიონატში იშვიათად რომ ნახავთ. არა გვგონია, ვაჭარბებდეთ: ეს მატჩი სწორედ „იაშკამ“ მოიგო — სანამ იგი სამარქაფო იყო, „დინამო“ ვერაფერს უხერხებდა „ჩიხურას“, მეტიც, თამაში აბსოლუტურად თანაბარი იყო.

დუნე პირველ ტაიმში გუნდებმა ოდენ თითო მომენტი გაცვალეს — საჩხერელთაგან ერთადერთმა ნათელმა ფიგურა ლაშა ვაშაკიძემ საჯარიმო ოდნავ ააცილა, დინამოელთაგან კი დავით გიგაურის თავურმა ჩაუარა ძელს სანტიმეტრებში.

დუშან უჰრინმა უცნაური სიახლე შემოგვთავაზა — ყოველთვის ცენტრალურ ნახევარმცველად მოთამაშე ლაშა ნოზაძე მარჯვენა მცველად დააყენა, იაშვილის სათადარიგოობაზე კი უკვე ვთქვით.

„ჩიხურას“ შუა ხაზში დისკვალიფიცირებული მიხეილ მესხის სახით აკლდა, ხოლო მიხეილ კაკალაძე ოდნავ შეუძლოდ იყო და ამიტომაც ხვიჩა ქასრაშვილი მხოლოდ ბოლო 25 წუთი დაასაქმა.

მეორე ტაიმში სულ სხვა „დინამო“ ვიხილეთ. მოედანზე იაშვილის შესვლამ საჩხერელთა დაცვა არია და გოლიც მალე გავიდა: სანდრომ ორ მცველს შუა გააძვრინა ბურთი და ზურაბ მამალაძესთან პირისპირ გასულმა მიხეილ ხუციშვილმაც მარტივად დაარტყა — 1:0.

აშკარა იყო, ზემოიმერლები გამთანაბრებლებს აღარ ჰგავდნენ, მთლად მოიშალნენ და თამაშის იშტა დაეკარგათ, „დინამო“ კი ნაირ-ნაირ კომბინაციებს ახუჭუჭუბდა და ორი ასპროცენტიანი შანსიც გაანიავა: იაშვილ-გრიგალაშვილ-დვალის ლამაზად გათამაშებულ შეტევას სანდრო კობახიძე ამთავრებდა ხუთიოდ მეტრიდან, მაგრამ ირაკლი გვეტაძემ ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი. წუთშივე კობახიძემ შეცდომა გამოასწორა, „ჩიხურას“ დაცვაში ექსპრესივით გაირბინა და იაშვილს უპასა, ვინც ახლოდან ააცილა.

ზემოიმერლები დაიღალნენ, არც „დინამო“ იკლავდა თავს, მაგრამ იაშვილმა ორი მომენტიდან ორივე გოლად აქცია — დავით ოდიკაძემ ვერ მოახერხა დარტყმა, მიგორებული ბურთი კი „იაშკამ“ გადაგზავნა კარში; 79-ე წუთზე სანდრო პირისპირ შეეყარა მამალაძეს და ბურთს შორეულ კუთხეში მიუჩინა ადგილი — 3:0-იც ასე გამოცხვა.

ყველა მსაჯის სასტვენს ელოდა და ამ დროს „ჩიხურამ“ შეალამაზა ანგარიში: მეკარესთან პირისპირ გასულ კაკალაძეს სოსო გრიშიკაშვილი შეეჯახა და მსაჯმაც პენალტი დანიშნა, რომელიც თავად კაკალაძემ გამოიყენა — ეს 87-ე წუთზე მოხდა, თუმცა ინტრიგა კარგახნის მკვდარი იყო და დარჩენილი წუთები გუნდებმა სეირნობაში გაატარეს.



დავით ოდიკაძემ (მარცხნივ) ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატში პირველად ითამაშა

## საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა · I წრე. 12 ტური

# ორგულდასაწყვეტი თამაში
## ამერი — ოლიმპი: არაოლიმპიური სისტემა

თბილისი. 18 ნოემბერი. 14 საათი. ამერი. 1 500 მაყურებელი

**ამერი 2:2 ოლიმპი**

0:1 გ. ონიანი (9პ), 0:2 კახელიშვილი (20), 1:2 დოლიძე (30), 2:2 ტატანაშვილი (62)

| | |
|---|---|
| ამერი: ქვაჩახია, ელბაქიძე, დავითნიძე, დ. მჭედლიშვილი, ხვადაგიანი, დიდავა, დოლიძე, ბოლქვაძე (დეკანოსიძე 77), ჯელაძე (ჩიკვილაძე 78), ს. დავითაშვილი (ტატანაშვილი 30), რ. წინამძღვრიშვილი | ოლიმპი: მ. ალავიძე, მახვილაძე, სეთურიძე, გ. ონიანი, რ. ონიანი, ხუბუა, აფციაური, ქებაძე, გეწაძე (ვ. კვარაცხელია 87), დვალიშვილი (გ. თოდუა 64), კახელიშვილი |
| *სათადარიგონი:* ლ. ნადირაშვილი; გვაძაბია, გაბისკირია, სილაგავა | *სათადარიგონი:* ნაჭყებია; მიქიაშვილი, მიმინოშვილი, ხოხონიშვილი, მაჭავარიანი |
| მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე |

გაფრთხილება: ქებაძე (19), გ. ონიანი (38), დოლიძე (51), ელბაქიძე (53), წინამძღვრიშვილი (90)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, მ. ელიკაშვილი; ვ. გუმბერიძე

დამკვირვებელი: შ. ხინჩაგაშვილი



დიმიტრი ტატანაშვილი: 2:2

**კობა ინასარიძე**

**მატჩის** შემდეგ ორივე გუნდის მწვრთნელმა ერთი თქვა, შედეგი ლოგიკური იყო, დაძაბული და საინტერსო თამაში გამოვიდაო... უნდა დავეთანხმოთ გიორგი ჩიხრაძეს და გიორგი კიკნაძეს, თუმცა ისიც დავძინოთ, რომ ეს შეხვედრა თავისი დრამატიზმითაც და ნერვული ფონითაც გამორჩეული გამოდგა. ისე, მატჩის ამგვარი სიუჟეტი მოულოდნელიც არ ყოფილა, „ამერი“ — „ოლიმპის“ დაპირისპირებაზე ლაპარაკი ორი კვირით ადრე დაიწყო და ქომაგს დღითიდღე აინტრიგებდა. ისინიც დაიმუხტნენ და გლდანის სტადიონის 900-ადგილიანი ტრიბუნა რომ არ ეყოთ, კარებს უკნიდან უცქირეს ლიდერთა დუელს.

ოპტიმალურ შემადგენლობამდე მასპინძლებსაც და სტუმრებსაც თითო ფეხბურთელი აკლდათ, „ყვითლებს“ — საყრდენი ნახევარმცველი დენის დობროვოლსკი, რუსთაველებს — თავდამსხმელი ირაკლი სირბილაძე. მატჩმა კი ცხადყო, რომ „ამერის“ დანაკლისი უფრო მნიშვნელოვანი გამოდგა. დობროვოლსკის არყოფნამ თბილისელთა თავკაცს მცირე ტაქტიკური გადაადგილება დააჭირვა — მარჯვენა მცველ გივი დიდავას საყრდენობა დაავალა, მისი პოზიცია კი დავით მჭედლიშვილს დაეთმო. „ოლიმპისთვის“ კი, სირბილაძის გარეშე თამაშს, არა გვგონია, რამე დაეტყო, მით უმეტეს, რომ კიკნაძის შეგირდები მე-20 წუთისთვის 2:0 იგებდნენ.

ნამატჩევს კი ჩიხრაძე იტყვის: „ჩვენთვის დიდი მოულოდნელობა იყო დასაწყისშივე ორი გოლის გაშვება. ჩვენი დაცვის ხაზი საიმედოობით გამოირჩევა და, ვერ ვიფიქრებდით, ასე მალე თუ დავისჯებოდით...“

ფაქტების გათვალისწინებით, „ამერის“ მწვრთნელს ამ შემთხვევაშიც უნდა დავეთანხმოთ — „ყვითლებს“ ხომ რუსთაველებთან თამაშამდე 11 მატჩში 2 გოლი მიეღოთ, შაბათს კი ამდენივეს გაშვება 20 წუთში „მოახერხეს“.

„ოლიმპმა“ მატჩი მაღალ ტემპში და აგრესიულად დაიწყო. ეტყობა, მასპინძელთათვის ესეც მოულოდნელი იყო. სტუმრები მეტოქის ნახევარზევე ცდილობდნენ ბურთის მოპოვებას და თამაშის გამწვავებას. ამ მონდომებამ კი სასურველი შედეგიც მალე მოუტანა. ლადო დვალიშვილი მარცხნიდან შეიჭრა „ამერის“ საჯარიმოში, ფინტით სცადა გიორგი დავითნიძის ჩამოშორება, მაგრამ აღარ დასცალდა — ლევან ფანიაშვილმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, გიორგი ონიანმა კი ზურაბ ქვაჩახიას ისე დაურტყა, გუნდის გადარჩენის შანსი არ დაუტოვა.

დაწინაურებულმა „ოლიმპმა“ თამაში ისეთივე შემართებით განაგრძო, როგორითაც დაიწყო. ბურთს სტუმრები აკონტროლებდნენ, მასპინძელთა შუახაზელებსა და ფორვარდებს რუსთაველები ხისტად მეურვეობდნენ და კართან ახლოს არ უშვებდნენ. ამასობაში კი მეორე გოლიც გააკეთეს. შეტევა ისევ მარცხნიდან წამოიწყეს — რევაზ გეწაძემ საჯარიმოში ჩააწოდა, „ამერს“ თითქოს არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ კარიდან გამოსულმა ქვაჩახიამ ბურთი ვერ მოიხელთა, იქვე მყოფმა გიორგი კახელიშვილმა კი საჩუქარი შეირგო, დარტყმა აღარ დაუყოვნებია და — 0:2.

ჩემპიონატის ლიდერთან ქულით ჩამორჩენილი სტუმარი უკეთეს დასაწყისს, აბა, რას ინატრებდა... ორბურთიანი სხვაობაც რომ არა, ამ დროისთვის თამაშიც მთლიანად „ოლიმპისა“ იყო, ასეთ შეხვედრაში კი ეს უდიდესი უპირატესობაა.

მართალია, „ამერმა“ ერთი-ორი მწვავე შეტევა წამოიწყო და მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინა, ეგებ გოლიც გაეტანა, მაგრამ ეს უფრო ემოციური მომენტი იყო, ვიდრე გააზრებული თამაში. სამაგიეროდ კი, „ოლიმპმა“ ორი ისეთი მომენტი გააცუდა, რაზეც ასპროცენტიანს ამბობენ ხოლმე. ჯერ დვალიშვილმა ორი მეტრიდან თავური ქვაჩახიას დაუმიზნა, მერე კი კახელიშვილს არ გაუმართლა და ბურთი კარს სასწაულებრივად აცილა. გარდამტეხიც თითქოს ეს ეპიზოდები იყო და, კიდევ დავით ბოლქვაძის გონივრული და უზუსტესი პასი, რომელიც მან სამ მცველს შორის გაჭრა და ფლანგელი გრიგოლ დოლიძე მიხეილ ალავიძეს პირისპირ შეატოვა. მეკარე კარიდან დროულად კი გამოვიდა, მაგრამ რეაქტიულ ამერელს მაინც ვერ დაასწრო — შემტევმა ბურთს ზუსტად ამოარტყა და სხვაობა შეამცირა.

ამ გოლის შემდეგ თამაში კიდევ უფრო დაიძაბა. უკვე ნერვების თამაში იყო. „ამერს“ ფსიქოლოგიური უპირატესობა ჰქონდა, „ოლიმპს“ კი დაღლა დაეტყო.

ერთი სიტყვით, „ამერმა“ თამაში შემოატრიალა და ტაიმის დარჩენილ დროში საგოლედ ორი ჩინებული შანსიც მიიღო, თუმცა ვერც ერთი გამოიყენა — ჯერ ვახტანგ ხვადაგიანის თავური გამოდგა უზუსტო, ერთი-ორ წუთში კი შეცვლაზე შესულმა დიმიტრი ტატანაშვილმა ალავიძეს ჩაწოდებული ბურთის დაჭერა არ აღროვა, მაგრამ თავური ხარიხას ზემოდან გაეხახუნა.

შესვენების შემდეგ უფრო საინტერესო ამბების მოლოდინში ვიყავით, „ამერი“ იშტაზე იყო მოსული, „ოლიმპს“ კი ის ტემპი და გაწყობა დაეკარგა, რითაც მატჩი დაიწყო. თუმცა „ყვითლებს“ ჯერ ანგარიში ჰქონდათ გასათანაბრებელი, მოგებაზე კი მერე უნდა ეზრუნათ.

„ამერს“ თამაში შტურმითა და განსაკუთრებული აგრესიით არ გაუნახლებია. უფრო პოზიციური თამაში გაჩაღდა, მაგრამ მასპინძელთა ჩანაფიქრი მალევე გამოჩნდა. „ამერის“ თავდამსხმელები რატი წინამძღვრიშვილი და დიმიტრი ტატანაშვილი თავით კარგად თამაშობდნენ და პარტნიორებიც ცდილობდნენ, მაქსიმალურად დაეტვირთათ ისინი გრძელი პასებით. ბურთი „ამერის“ დაცვის ხაზიდან პირდაპირ ამ ფორვარდებისკენ მიდიოდა, ნახევარმცველები კი საქმეში ამის მერე ერთვებოდნენ. ტატანაშვილმა და წინამძღვრიშვილმა მართლაც თითქმის ყველა საჰაერო ბრძოლა მოიგეს და „ოლიმპის“ კართან ხიფათმაც ნელ-ნელა იმატა, 62-ე წუთზე კი ერთი ასეთი პასი გოლით დასრულდა — სტუმართა საჯარიმოში წინამძღვრიშვილმა კორპუსით კარგად ითამაშა, ბურთი მკერდით თავის მეწყვილეს დაუგდო, ტატანაშვილი კი უმეურვეოდ იყო, დარტყმამდე პაუზა გააკეთა და ისე გაიტანა — 2:2.

„ოლიმპს“ დაღლა უკვე აშკარად ეტყობოდა, მცველები ერთმანეთს დროულად ველარ აზღვევდნენ, ვერც შუა ხაზი იჭერდა ბურთს ძველებურად. თავდამსხმელი დვალიშვილი კი მალევე შესაცვლელი გახდა.

შთაბეჭდილება შეიქმნა, „ამერს“ ტემპისთვის ოდნავ მაინც რომ მოემატებინა და შეტევა გაეხშირებინა, მესამესაც გაიტანდა, მაგრამ ანგარიშის გათანაბრების შემდეგ მასპინძლები თითქოს დამშვიდდნენ და თამაშიც მანამდელი რიტმით გაგრძელდა. ეს ცოტა გასაკვირიც იყო, თუმცა პრესკონფერენციაზე გიორგი ჩიხრაძემ ამგვარი ტაქტიკა ასე ახსნა: „ჩვენ ბოლო წუთამდე მოსაგებად ვიბრძოდით, თუმცა ანგარიშის გათანაბრების შემდეგ იმის საშიშროებაც იყო, გოლი კიდევ მიგვეღო. ამიტომაც უკანმოუხედავად არ შევვიტევია, თუმცა გარკვეულ მონაკვეთებში მეტოქეს მწვავედ ვუტევდით, ბოლო წუთზე კი ბურთი ხარიხასაც მოხვდა.“

ჩიხრაძის ამ სიტყვებიდანაც კარგად ჩანს, 2:2-ზე თამაში როგორ გაგრძელდა, საგოლე მომენტები და საინტერესო კომბინაციები დარჩენილ დროში თითქმის არ ყოფილა, თუმცა იქამდე, ვიდრე სწორედ ბოლო წუთზე გრიგოლ დოლიძის დარტყმულს ხარიხა აისხლიტავდა, გიზო ჯელაძესაც ჰქონდა უნაღდესი შანსი, მაგრამ მისი დარტყმული კარს საკმაოდ აცდა.

მოკლედ, 2:2 — ლოგიკური და მატჩის მიმდინარეობით სამართლიანი შედეგი. რომელი გუნდისთვისაა ეს ანგარიში უფრო სახეირო, პირველი წრის ბოლოს ტურის შემდეგ ვთქვათ...

## პრესკონფერენცია

*გიორგი კიკნაძე:* მადლობა ქომაგებს, რომლებმაც ტრიბუნა ბოლომდე შეავსეს და ვფიქრობ, 90 წუთი არც მოუწყენიათ. ამ შეხვედრისთვის ჩვენ განსაკუთრებულად ვემზადებოდით, ვიცოდით, რომ ურთულესი მატჩი გვქონდა. რა თქმა უნდა, დასანანია, როცა 2:0 იგებ და საბოლოოდ ფრე მივიღეთ, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ შედეგი ლოგიკურია.

...ბოლო დროს ამინდის გაუარესების გამო ხელოვნურსაფარიან მოედანზე ვვარჯიშობდით და პირდაპირ მინდორზე გასვლა გაგვიჭირდა. მეორე ტაიმში ჩვენი ფეხბურთელები ამიტომაც დაიღალნენ.

*გიორგი ჩიხრაძე:* ვფიქრობ, მატჩმა პროგნოზები გაამართლა. საკმაოდ მძიმე და საინტერესო შეხვედრა გამოდგა.

...დენის დობროვოლსკი „ამერისთვის“ ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელია და ეს დღესაც კარგად გამოჩნდა. თუმცა საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე გივი დიდავამაც მაღალ დონეზე ითამაშა.



მე-20 წუთი: გიორგი კახელიშვილმა (მარჯვნივ) „ოლიმპი“ ორი ბურთით დააწინაურა

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · I წრე. 12 ტური

თელავი. 23 სექტემბერი. 16 საათი. გივი ჩოხელი. 300 (ტევადობა 6 000)

## კახეთი 0:2 ზესტაფონი

0:1 ფიფია (53), 0:2 იონანიძე (76)

| | |
|---|---|
| კახეთი: ცინაძე, მურველაშვილი, კობაიძე, ლომიძე, კვირკველია (გერგიშვილი 85), კევლიშვილი, ხიდეშელი (ცისკარიშვილი 62), ნ. დავითაშვილი, იმერლიშვილი (ტეტიაშვილი 75), ბიძინაშვილი, ძამუკაშვილი<br>*სათადარიგონი:* ქუფარაშვილი, არუდაშვილი, ა. ბურნაძე<br>მწვრთნელი: ვასილ არუდაშვილი | ზესტაფონი: ჭანტურია, ს. თოდუა, ე. საჯაია, შ. ღონღაძე, კ. ჩხეტიანი, გ. ჭელიძე (ნ. კვასხვაძე 70), განუგრავა, ბ. ნოზაძე, ვიეირა, იონანიძე (ძამსაშვილი 81), ფიფია (სანტოსი 88)<br>*სათადარიგონი:* იმედაძე, ხიდეშელი, გოცირიძე, ჯალაღონია<br>მწვრთნელი: თემურ მახარაძე |

გაფრთხილება: იმერლიშვილი (11), ლომიძე (60)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ზ. ხუციშვილი, ო. მოლოდინაშვილი; ზვ. ასკაროღლი

# მახარაძემ თელავში უეფა შემოხაზა

## ზესტაფონმა თასი გაიმეორა

**გიორგი კაციტაძე** თელავიდან

**თელავის** „კახეთი" ჯემალ მახარაშვილმა დატოვა და კლუბის ხელმძღვანელობამ მისი ადგილი გულშემატკივრების უსაყვარლეს მოთამაშეს, ვასილ არუდაშვილს ჩააბარა. ერთი სიტყვით, არუდაშვილი მოთამაშე-მწვრთნელია და თელაველებს იმედი აქვთ, რომ ის შეძლებს გუნდის კრიზისიდან გამოყვანას.

საინტერესოა, რომ ეს გუნდები საქართველოს თასის ჯგუფურ ეტაპზე თელავში ერთი კვირის წინაც შეხვდნენ. მაშინაც და ახლაც სტუმრებმა 2:0 მოიგეს.

შაბათს თელავის „კახეთმა" განახალისებული შემადგენლობით ითამაშა — არუდაშვილმა მოედანზე რამდენიმე ახალგაზრდა გაიყვანა და მთლიანობაში მასპინძლებს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ, თუმცა კლასმა და გამოცდილებამ თავისი სიტყვა თქვა...

მე-14 წუთზე პირველი საგოლე მომენტი სტუმრებმა შექმნეს — ზურაბ იონანიძის დარტყმულს მურველაშვილი გადაეფარა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

მალევე მარჯვენა ფლანგიდან იონანიძის ჩაწოდებულს ბექა ნოზაძის თავური მოჰყვა — ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს.

რამდენიმე საგოლე მომენტი თელაველებმაც შექმნეს. განსაკუთრებით ზაქრო ბიძინაშვილი აქტიურობდა, მაგრამ ზესტაფონელი მცველებისა და მეკარის წინაშე ბევრს ვერაფერს გახდა.

მეორე ტაიმი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო — ბიძინაშვილმა ოდნავ ააცილა სტუმართა კარს.

53-ე წუთზე კი სტუმრებმა იხეირეს: მცველების შეცდომით გოგი ფიფიამ ისარგებლა და 0:1.

ამ გოლის შემდეგ უპირატესობა მთლიანად სტუმრებმა იგდეს ხელთ და თამაში სათავისოდ წაიყვანეს.

76-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებული ბურთი იონანიძემ მშვიდად მიიღო, დაამუშავა, დაარტყა და 0:2.

ორიოდ წუთში ნიკა კვასხვაძეს შეეძლო ანგარიშში სხვაობის გაზრდა, მაგრამ მეკარე გიორგი ცინაძემ საოცარი რეაქციის წყალობით იხსნა კარი...

### პრესკონფერენცია

*ვასილ არუდაშვილი:* ვულოცავ „ზესტაფონს" გამარჯვებას. ჩვენ ახალგაზრდული გუნდი გვყავს, ნელნელა შევიძენთ გამოცდილებას და დარწმუნებული ვარ, შედეგს აუცილებლად მივაღწევთ.

*თემურ მახარაძე:* საკმაოდ რთული მატჩი მოვიგეთ. ჩვენი პროგრამა-მინიმუმი უეფას თასზე მოხვედრაა, თუმცა არც უფრო მაღალ ადგილებზე ვიტყვით უარს.

# მერანმა გოლები მათრახივით დაირტყა



ბადრი კეთელაურის ფოტო

რევაზ ძოძუაშვილის (მარცხნივ) „ტორპედომ" ბოლოსდა გაილაღა

ქუთაისი. 18 ნოემბერი. 14 საათი. ტორპედო. 1 000 (ტევადობა 20 000)

## ტორპედო 3:1 მერანი

0:1 ოსიტაშვილი (27), 1:1 ზ. ჩხეტიანი (51), 2:1 მუშკუდიანი (90), 3:1 ღონღაძე (90)

| | |
|---|---|
| ტორპედო: კოდალაევი, გოგია, გამეზარდაშვილი, ბერუაშვილი, გურული, ზ. ჩხეტიანი, გ. ჩხეტიანი, კრასოვსკი (ლალაძე 75), მ. ღონღაძე, დოლონაძე (მუშკუდიანი 46), ნ. ნადირაძე (ჭედია 46)<br>*სათადარიგონი:* ქვილითაია, ცქვიტაია, ა. კვერნაძე, ზ. ხურციძე<br>მწვრთნელი: იური კვერნაძე | მერანი: სეფიაშვილი, თ. მჭედლიშვილი, ჯანგიძე, თურქია, ოსიტაშვილი, ბესარაშვილი, კობერიძე (ფურთუხია 78), გაგუა, ბურჯანაძე (ჯ. ხურცილავა 59), ლ. მანწკავა, ქემაშვილი<br>*სათადარიგონი:* ნეფარიძე, შველიძე, მაილაშვილი, დათუნაშვილი<br>მწვრთნელი: დავით ეჯიბიშვილი |

გაფრთხილება: ბესარაშვილი (6), ღონღაძე (15), ქემაშვილი (26), მჭედლიშვილი (75)

მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. ჯვარიძე, ი. ურუშაძე; ა. ნონიკაშვილი

**ზაზა ცინცაძე** ქუთაისიდან

**საწყისი** 25 წუთი ისე მიილია, დასამახსოვრებელი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით მამუკა ღონღაძის დარტყმულს, რომელიც კარს ასცდა. 27-ე წუთზე კი მოულოდნელად სტუმრები დაწინაურდნენ — ვალერი გაგუას ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ გიორგი ოსიტაშვილმა ბურთი თავით „ტორპედოს" კარში გადაგზავნა — მეკარემ ვეღარ ივარგა· და 0:1.

ორ წუთში გიორგი კრასოვსკის ჰქონდა კარგი მომენტი, თუმცა მეკარემ ითამაშა თავგანწირულად, წამით დაასწრო და ეს ყველაფერი ტრავმის ფასად დაუჯდა...

35-ე წუთზე სტუმრებმა მრავალსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს. ლაშა მანწკავამ ბურთი გაგუას დაუგორა, მან კი შანსი გაანიავა.

თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ მეორე ნახევარში მასპინძლებმა ცვლილებები განახორციელეს, რამაც „ტორპედო" გამოაცოცხლა და სერიოზული უპირატესობაც მოაპოვებინა.

51-ე წუთზე მამუკა ღონღაძემ ბურთი მეკარის ბაქანთან მყოფ ზვიად ჩხეტიანს დაუგორა და 1:1.

74-ე წუთზე ტორპედოელებმა საკუთარ საჯარიმოში უყურადღებოდ ითამაშეს, ბურთი მეკარესთან პირისპირ მყოფ ლაშა მანწკავას მიუვიდა, თუმცა ძალიან ცუდად დაარტყა და შვიდიოდ მეტრიდან კარს ააცილა.

87-ე წუთზე გიორგი ჭედიას სოლორეიდს კონსტანტინე სეფიაშვილის კარგი თამაში მოჰყვა — მეკარემ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

არბიტრმა ლაშა სილაგავამ ძირითად დროს სამი წუთი დაამატა და სწორედ ეს წუთები შეირგეს ქუთათურებმა, თანაც როგორ, ორი გოლი გაიტანეს — შეცვლაზე შესულმა ზურაბ მუშკუდიანმა დაახლოებით 25 მეტრიდან ცაცხით ულამაზესი გოლი გაიტანა; წუთში კი შეტევაში წასულ „მერანს" კონტრშეტევა გაეპარათ, წინა ეპიზოდის გმირმა ზურაბ მუშკუდიანმა ბურთი ღონღაძეს გადააწოდა და 3:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 12 | 9 | 3 | 0 | 25:4 | 30 |
| ოლიმპი | 12 | 9 | 2 | 1 | 31:5 | 29 |
| ვიტ ჯორჯია | 12 | 8 | 3 | 1 | 26:13 | 27 |
| ზესტაფონი | 12 | 8 | 3 | 1 | 18:3 | 27 |
| დინამო | 12 | 8 | 0 | 4 | 21:10 | 24 |
| ტორპედო | 12 | 7 | 3 | 2 | 16:7 | 24 |
| სიონი | 12 | 6 | 2 | 4 | 16:10 | 20 |
| ბორჯომი | 12 | 3 | 3 | 6 | 15:21 | 12 |
| ლოკომოტივი | 12 | 3 | 2 | 7 | 9:17 | 11 |
| მერანი | 12 | 3 | 2 | 7 | 9:23 | 11 |
| ჩიხურა | 12 | 2 | 3 | 7 | 9:21 | 9 |
| ბათუმი | 12 | 2 | 3 | 7 | 9:11 | 9 |
| დილა | 12 | 0 | 2 | 10 | 5:37 | 2 |
| კახეთი | 12 | 0 | 1 | 11 | 9:36 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 7-გელაშვილი | *ვიტ ჯორჯია* |
| 6-იაშვილი | *დინამო* |
| ტატანაშვილი | *ამერი* |
| დოლიძე | *ამერი* |
| ფიფია | *ზესტაფონი* |
| 5-ალავიძე | *სიონი* |
| გ. დათუნაიშვილი | *ვიტ ჯორჯია* |

# ვიტელებმა ნაწვიმარ გორს დააწვიმეს

გორი. 18 ნოემბერი. 14 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 80 (ტევადობა 8 250)

## დილა 0:6 ვიტ ჯორჯია

0:1 გელაშვილი (9), 0:2 დილმელაშვილი (28), 0:3 დათუნაიშვილი (34), 0:4 მელქაძე (49), 0:5 ბერიაშვილი (69), 0:6 გელაშვილი (81)

| | |
|---|---|
| დილა: კეჩხუაშვილი, ბალიაშვილი, ლომიძე, კობახიძე, მასურაშვილი, კურტანიძე, აბრამიშვილი (ვარდოსანიძე 63), ტლაშაძე, გ. წინამძღვრიშვილი, ალ. ლაბაძე (მიხანაშვილი 70), ოლგესაშვილი (იჩქითი 68)<br>*სათადარიგონი:* ფალელაშვილი, სადალაშვილი, მ. სომხიშვილი, ი. თაყაძე<br>მწვრთნელი: რევაზ მამესწარაშვილი | ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ჯაფარიძე, ა. კვახაძე, თ. კობიაშვილი (ინჯგია 58), დ. ლომაია, ლ. რაზმაძე, დილმელაშვილი (ლუჭაშვილი 56), გ. დათუნაიშვილი, ფეიქრიშვილი (ბერიაშვილი 61), გელაშვილი, გ. მელქაძე<br>*სათადარიგონი:* მიქაბერიძე, კაიშაური, კვალიაძე, ბეჟვაია<br>მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე |

მსაჯები: მ. მაისურაძე; ნ. რუსიშვილი, კ. ბერაძე; პ. დოგრაშვილი

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**მიუხედავად** იმისა, რომ ორდღიანი წვიმის შემდეგ ატალახებულ მოედანზე თამაში ძნელი იყო, სტუმრებმა თავიდანვე აქტიურად დაიწყეს თამაში და საგრძნობი უპირატესობაც მოიპოვეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა გიორგი ფეიქრიშვილი, რომლის ფლანგურ გარღვევებს „დილამ" ვერაფერი მოუხერხა.

უკვე მე-3 წუთზე ფეიქრიშვილის ჩაწოდების შემდეგ ნიკა გელაშვილს შეეძლო გატანა, მაგრამ მისი თავური არაზუსტი გამოდგა. ორ წუთში კი ალექსანდრე კვახაძეს შეექმნა კარგი მომენტი, თუმცა...

მე-6 წუთზე ფეიქრიშვილ-გელაშვილის კომბინაციის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა და გიორგი მელქაძეს მიუგორდა — გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ცარიელ კარში დარტყმული ბურთი ტალახში გაჩერდა და...

პირველი გოლი მე-9 წუთზე ვნახეთ: მელქაძემ გელაშვილი შენიშნა და 0:1.

ორიოდ წუთში ალექსანდრე ლაბაძეს შეეძლო გათანაბრება, მაგრამ ცარიელ კარს ააცილა.

სტუმრებმა კიდევ უფრო გააძლიერეს შეტევები და 28-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა გაიზარდა — გიორგი დათუნაიშვილის დარტყმულს რიკოშეტი მოჰყვა, ბურთი იქვე მყოფ დავით დილმელაშვილს მიუვიდა და 0:2.

მესამე გოლიც მალე გავიდა: 34-ე წუთზე კვლავ ფეიქრიშვილმა იაქტიურა და დათუნაიშვილმა თავური იხეირა.

ტაიმის მიწურულს მელქაძემ გორელთა კარის ძელის „მოიკითხა" და გუნდებიც შესვენებაზე გავიდნენ.

49-ე წუთზე მელქაძემ მაინც შეაგდო, როცა ბურთი გელაშვილისგან მიიღო...

მეხუთე გოლი შეცვლაზე შესულებმა გამოადნეს — ინჯგიამ ბერიაშვილს გაატანინა — 0:5.

და ერთიც: 81-ე წუთზე ბერიაშვილის პასით გელაშვილმა დუბლი შეასრულა — 0:6.

## საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 12 ტური

# ცუდი მოცეკვავისა არ იყოს, რა შუაშია მსაჯი?

ბოლნისი. 18 ნოემბერი. 14 საათი. თამაზ სტეფანია. 150 (ტევადობა 4 500)

### სიონი 1:0 ლოკომოტივი

1:0 ჩასემი (70)

| სიონი | ლოკომოტივი |
|---|---|
| სიონი: ბობღიაშვილი, კობაური, ლ. ჭელიძე, ჭიჭვეიშვილი, რაქვიაშვილი, ოქროპირიძე, ვ. უგრეხელიძე, ლ. ბაჯელიძე (ევორჩე 56), კვიტაიშვილი (ქურასბედიანი 88), ბ. ცხადაძე (ქარდავა 56), ჩასემი სათადარიგონი: ბათიაშვილი; ზ. ჭელიძე, შავგულიძე, ფრიდოლინი მწვრთნელი: გიორგი ყიფშიძე | ლოკომოტივი: გვარამაძე, თუთბერიძე (ბახტაძე 80), გუშარაშვილი, ებრალიძე, დ. ფოფხაძე, ტ. ბარბაქაძე (ალავერდაშვილი 80), ავალიანი, გ. კვახაძე, გულორდავა, ყიფიანი (მიხაილიდი 51), ვ. გოჩაშვილი სათადარიგონი: მიგინეიშვილი; ჩივაძე, დეისაძე, იაკობიძე მწვრთნელი: ამირან მინაშვილი |

გაფრთხილება: ბარბაქაძე (25), გუშარაშვილი (42), კვახაძე (44), ებრალიძე (56), რაქვიაშვილი (71), ჭიჭვეიშვილი (82), ბობღიაშვილი (90)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; კ. გაბრიაძე, ი. უკლება; კ. ჭაჭუა

მიხეილ ჟორჟოლიანი ბოლნისიდან

მე-20 წუთი: მიხეილ კობაურმა საჯარიმოს გარედან ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს.

70-ე წუთი: ერიკ რომეო ჩასემმა საჯარიმოს წინა ხაზიდან გაისროლა და მცირე რიკოშეტის შემდეგ ბურთი დავით გვარამაძის კარის ცხრიანში შეფრინდა.

ეს იყო და ეს. „თამაზ სტეფანიაზე" შეკრებილ მცირერიცხოვან მაყურებელს თვალსასეირო მეტი არაფერი უნახავს. ფეხბურთელები ინერტულად ირჯებოდნენ და 90 წუთში ორივე გუნდმა იმდენი შეცდომა დაუშვა, მთელ პირველ წრეს თავისუფლად ეყოფოდა. არც ჟინი და მონდომება იგრძნობოდა და არც ფეხბურთის თამაშის სურვილი...

იმის მიუხედავად, რომ მსაჯობა კარგი იყო, შეხვედრის შემდეგ ორივე მწვრთნელმა თითქმის ერთნაირი მოსაზრება გამოთქვა — მსაჯებს შედეგზე არანაირი გავლენა არ მოუხდენიათ, მაგრამ ფეხბურთელებს ბრძოლის საშუალებას უსპობდნენ, არბიტრი ყველა შეტაკებაზე უსტვენდა, რამაც ტემპი დააგდოო.

ვერაფერს იტყვი, უინტერესო თამაშისთვის თავის გასამართლებლად კარგი საშუალებაა, მაგრამ ისიც გაიხსენონ მწვრთნელებმა, დროის გაყვანისთვის რამდენი ლოკომოტიველი გააფრთხილეს გოლამდე და რამდენი სიონელი გოლის შემდეგ...

ორივე გუნდს თითო წამყვანი მოთამაშე აკლდა: ბოლნისელებს — არჩილ ალავიძე, თბილისელებს — ლევან ყენია.

ერთ-ერთი ლიდერის არყოფნაში „ლოკომოტივმა" აქცენტი ყრუ დაცვაზე გააკეთა და, თუ ქულას გამორჩებოდა, უკეთესს ვერაფერს ინატრებდა...

ბოლნისელებმა 70-ე წუთამდე ვერა და ვერ მოარგეს გასაღები რკინიგზელთა არცთუ აულებელ დაცვას. გოლიც მცველთა შეცდომით გავიდა — საჯარიმოდან უხეიროდ ამოტანილი ბურთი ჩასემს პირდაპირ დაასვეს ფეხზე და...

„სიონმა" დაგეგმილი სამი ქულა კი მიითვალა, მაგრამ გულშემატკივარი უკმაყოფილო დატოვა. გუნდი ასე თუ გააგრძელებს თამაშს, სტადიონზე აღარ მოვალთო — გაღიზიანებული ტოვებდა იქაურობას ისედაც მცირერიცხოვანი მაყურებელი.

### პრესკონფერენცია

*ამირან მინაშვილი:* ვიცოდით, რომ მძიმე თამაში იქნებოდა, ამიტომ აქცენტი დაცვით, ჩაკეტილ თამაშზე გადავიტანეთ. გვინდოდა, მეტოქისთვის მოქმედების საშუალება მოგვესპო. ეს შეძლებისდაგვარად მოვახერხეთ, ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ. ისინი ჯერ ახალგაზრდები, გამოუცდელები არიან და ის ერთი შეცდომა „სიონმა" არ გვაპატია. ნელ-ნელა ვუმატებთ და მეორე წრეში უკეთესად ავთამაშდებით.

*გიორგი ყიფშიძე:* თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ. მართალია, მეტოქეს მომენტი არ შეუქმნია, თუმცა არც ჩვენ გვქონია რამე რეალური საგოლე სიტუაცია. დაგეგმილი სამი ქულა კი ავიღეთ, მაგრამ მეტოქის შეუფასებლობის გამო კინაღამ დავისაჯეთ. „ლოკომოტივისგან" ასეთ კარგ თამაშს არ ველოდი...



ბადრი [illegible] ფოტო

# ლევან-ტე ყენია ვალენსიაშია

თბილისის „ლოკომოტივმა" ამ ტურში ლიდერ ლევან ყენიას გარეშე ითამაშა. ყენიას არყოფნა არც ტრავმის ბრალი იყო და არც დისკვალიფიკაციის — 16 წლის ნიჭიერი ფეხბურთელი ესპანეთის ქალაქ ვალენსიაშია და იქაურ „ლევანტეში" ისინჯება.

ყენია ესპანეთში ექვსი თვის წინაც ჩავიდა და „ბარსელონაში" გაიარა სტაჟირება. ლევანს ამ საქმეში საქართველოში ტალანტების მოძიების „ბარსელონას" წარმომადგენელი იაგო აგილარი დაეხმარა. აგილარმა ნიჭიერ ფეხბურთელზე დაკვირვება საქართველოშიც გააგრძელა და ამჯერად „ლევანტეში" იახლა.

ახლა ყველაფერი ყენიასა და „ლევანტეს" სურვილზეა დამოკიდებული. რამდენ ხანს გასტანს ესპანური ვიზიტი, ჯერჯერობით უცნობია და ამის თაობაზე მომავალშიც მოგაწვდით ამბებს.

საინტერესოა, რომ „ლევანტე" კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელის, შოთა არველაძის ტრანსფერით ზაფხულში იყო დაინტერესებული, მაგრამ ალკმაარელებმა ლიდერის გაშვება არ ისურვეს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

# არ იყო შაბათს ოლივერ გიორგევიჩის დღე...

დავით თავართქილაძე ბორჯომიდან

ბორჯომი. 18 ნოემბერი. 14 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი. 300 (ტევადობა 6 000)

### ბორჯომი 0:0 ბათუმი

| ბორჯომი | ბათუმი |
|---|---|
| ბორჯომი: შეყრილაძე, გოგიჩაიშვილი, ბაქრაძე, ქარქუზაშვილი, სუხიაშვილი, ბენდელიანი, ლომიძე (მონგი 46), ნკემი, თედიაშვილი, შ. ჯიქია, მოდებაძე (ლაზარაშვილი 88) სათადარიგონი: ლაბაძე; ტალახაძე, ხითარიშვილი, ნასყიდაშვილი მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | ბათუმი: სომხიშვილი, ექონია, უ. ლობჟანიძე, გალოგრე, აბშილავა, ჯინჭარაძე (კუნჭულია 85), ცანავა, ა. მუჯირი, კოშკაძე, ოქრუაშვილი (ბეჟანიძე 87), რ. ჯიქია სათადარიგონი: ბეკტაშვილი; ა. ბაჯელიძე, ქორიძე, გოგოლაძე, ნაჭყეპია მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე |

გაფრთხილება: ცანავა (35), ლობჟანიძე (63), თედიაშვილი (73)

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; მ. ურუშაძე, გ. დოგრაშვილი; ა. კრიჭაშვილი

„ბათუმი" გასავარდნ ზონასთან ახლოსაა, მაგრამ გორის „დილაზე" და თელავის „კახეთზე" გაცილებით უკეთ თამაშობს და ამგვარი ფარდობითობით, პირველ ლიგაში ჩაქვეითება არ უნდა ემუქრებოდეს.

„ბათუმი" ბორჯომშიც არ ჰგავდა იმ გუნდს, ქვედა ლიგაში ჩაყურყუმალავების საფრთხე რომ ემუქრება — აჭარლები ბორჯომელებზე უფრო მეტხანს აკონტროლებდნენ ბურთს და შეტევებიც უფრო მწვავე გამოსდიოდათ.

შეხვედრის პირველ ოც წუთში დიდად საინტერესო არაფერი მომხდარა. დუნე ორი ათეული წუთი ბორჯომელთა ძალიან სახიფათო მომენტით დასრულდა — ლევან თედიაშვილის თავურს გიორგი სომხიშვილმა წაატანა თითები და მერე ბურთი ხარიხასაც მოხვდა.

თავურით სცადა გოლის გატანა ბათუმელმა რევაზ ჯიქიამაც, მაგრამ ალექსანდრე კოშკაძის მარცხნიდან ჩაწოდებულს მთლად კარგად ვერ დაუხვედრა თავი და ბურთი განზე წავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბურთის ფლობაში სტუმრები მასპინძლებს ალემატებოდნენ, „ბორჯომმა" კიდევ მოახერხა ერთი-ორი მწვავე შეტევა. კამერუნელ ოლივერ ნკემს მახვილი კუთხიდან მიეცა კარში დარტყმის შანსი და მიზანი ვერ გაისწორა, ხოლო დავით ბაქრაძის საჯარიმო დარტყმის შემდეგ სომხიშვილმა ხელებში გააქავა ბურთი.

იერიშებში არც „ბათუმი" იყო უქმად. აჭარლები მეტწილად მარცხენა ფლანგიდან უტევდნენ. რევაზ ჯიქიამ კი ერთხელაც აანერვიულა მასპინძლები — თხუთმეტი-თექვსმეტი მეტრიდან მცველებში მოქცეულმა მაინც მოახერხა კარისკენ დარტყმა, მაგრამ კვლავ სიზუსტემ უმტყუნა.

შესვენების შემდეგ ვლადიმერ ხაჩიძემ მეორე კამერუნელიც შეიყვანა მოედანზე, თუმც პიერ მონგს ბევრი არაფერი შეუცვლია, მისი თანამემამულე ნკემიც ჩაიკარგა. სხვათა შორის, ოლივერ ნკემს ბორჯომში უკვე თიკუნიც მოუგონეს — „გიორგევიჩი".

მეორე 45 წუთში „ბათუმი" კიდევ უფრო მეტხანს აკონტროლებდა ბურთს და გოლის გატანის ძალიან კარგი შესაძლებლობაც ჰქონდა — ჯიქიამ 14-15 მეტრიდან ძელი შეაზანზარა.

ბათუმელთა არცთუ მძლავრი შეტევები გრძელდებოდა და ამას მათთვის სარგებელი არ მოჰქონდა. ისიცაა, რომ ბორჯომელებმა სტუმართა ლიდერი ამირან მუჯირი კარგად ამოკეტეს.

მატჩის დასრულებას ბევრი არ უკლდა, როცა ბათუმელი დავით ჯინჭარაძე აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ უხეიროდ დაარტყა.

## საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
I წრე. 16 ტური

გაგრა 1:5 დინამო 2
მერცხალი 0:2 მაღაროელი
ნ. დინამოელი 0:1 სამტრედია
მესხეთი 4:2 მეშახტე
ზესტაფონი 2 0:1 ოლიმპი
რაჭა 1:1 მეშაქრე
ამერი 2 4:2 გურია
ჩიხურა 2 1:2 ვიტ ჯორჯია 2
სპარტაკი 0:1 მგლები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები | 16 | 13 | 2 | 1 | 29:8 | 41 |
| მესხეთი | 16 | 10 | 4 | 2 | 31:11 | 34 |
| მეშაქრე | 16 | 8 | 6 | 2 | 21:13 | 30 |
| ოლიმპი (თბ) | 16 | 8 | 3 | 5 | 30:18 | 27 |
| გაგრა | 16 | 8 | 2 | 6 | 23:21 | 26 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 16 | 7 | 4 | 5 | 27:13 | 25 |
| ნ. დინამოელი | 16 | 7 | 2 | 7 | 22:20 | 23 |
| მეშახტე | 16 | 7 | 2 | 7 | 24:24 | 23 |
| ამერი 2 | 16 | 6 | 5 | 5 | 25:21 | 23 |
| დინამო 2 | 16 | 6 | 4 | 6 | 28:17 | 22 |
| მაღაროელი | 16 | 5 | 7 | 4 | 20:17 | 22 |
| ჩიხურა 2 | 16 | 6 | 3 | 7 | 18:20 | 21 |
| ზესტაფონი 2 | 16 | 5 | 5 | 6 | 15:15 | 20 |
| სამტრედია | 16 | 4 | 5 | 7 | 18:28 | 17 |
| სპარტაკი | 16 | 4 | 3 | 9 | 9:22 | 15 |
| რაჭა | 16 | 2 | 5 | 9 | 13:31 | 11 |
| მერცხალი | 16 | 2 | 3 | 11 | 13:38 | 9 |
| გურია | 16 | 2 | 3 | 11 | 15:41 | 9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიური რეკორდი

## მარტო მარკოიშვილი ბელგრადშიც ბრალია




მანუჩარ მარკოიშვილმა რომ ბოლო დროს საგრძნობლად მოუმატა და „ოლიმპიას“ ხუთეულშიც მყარად ჩაჯდა, ქომაგს კარგად მოეხსენება. თუმც რაც მანუმ ადრიატიკის ლიგის ბოლო ტურში გააკეთა, მისგან ალბათ ცოტა თუ ელოდა. სლოვენიის ჩემპიონი ბელგრადში „ცრვენა ზვეზდას“ შეხვდა და თითქმის უბრძოლველად წააგო, თუმც ქართველი უკანახაზელისთვის ეს მატჩი გამრჩეული იყო — მარკოიშვილმა 27 ქულა ჩააგდო და „ოლიმპიაში“ პირადი რეკორდი გამოჭედა.

ბელგრადში გამარჯვება, თანაც „ცრვენა ზვეზდასთან“, ნებისმიერი გუნდისთვის ძნელად მისაღწევია და ალბათ ლიუბლიანელებიც წინასწარ იყვნენ მარცხს შეგუებულნი. ერთადერთი, ვინც ბოლომდე იბრძოლა და მრისხანე მეტოქეს არ შეეპუა, მანუჩარ მარკოიშვილია. მან თამაშისთვის განკუთვნილი ორმოცივე წუთი მოედანზე გაატარა, რაც კიდევ ერთი პირადი რეკორდია მის ოლიმპიურ კარიერაში.

ლიუბლიანელებმა პირველი მეოთხედი 18:30 წააგეს, ხოლო ტაიმის ბოლოს უკვე 17 ქულით ჩამორჩებოდნენ. მესამე მეოთხედში მარკოიშვილმა სტუმრებს დეფიციტი 11 ქულამდე შეამცირებინა, მაგრამ...

„ოლიმპიაში“ ყველაზე საშიში მოთამაშე მანუჩარ მარკოიშვილი იყო — ვკითხულობთ ამ მატჩის ინტერნეტ-რეპორტაჟში — ის სადაც არ უნდა მდგარიყო, ყველა წერტილიდან საფრთხეს უქმნიდა ბელგრადელებს, მარკოიშვილის შემჩერებელი ვერავინ მოინახა „ცრვენა ზვეზდას“ რიგებში.

საწყენია, რომ ქართველს მხარი სათანადოდ ვერ აუბეს თანაგუნდელებმა — მანუჩარის შემდეგ „ოლიმპიას“ საუკეთესო ბომბარდირი სლოვენიის ნაკრების ცენტრი მარკო მილიჩი გახდა 16 ქულით.

მანუ მარტო მექულეობით როდი გამოირჩა — მან 4 ფარიდან ასხლეტილი ბურთი მოხსნა და 2-2 ჩაჭრა-პასიც მიითვალა. მატჩის საუკეთესო მოთამაშე კი „ცრვენა ზვეზდას“ ზორბა თავდამსხმელი, სერბეთის ნაკრების წევრი მილან გუროვიჩი გახდა, ვინც 36 ქულით დატუქსა ოლიმპიელები.

ბელგრადში წაგების შემდეგ ლიუბლიანელები ადრიატიკის ლიგის ცხრილში მე-8 საფეხურზე დაეშვნენ და ლიდერ „ციბონას“ ოთხი ქულით ჩამორჩებიან.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## იღბლის ლიმიტი ამოიწურა

### ატლანტა ბოლოსკენ ველარ ქოროხბს




ალონზო მურნინგისა და ზაზა ფაჩულიას საჰაერო დუელი

**17 ნოემბერი**

**ფინიქსი 106:94 ფილადელფია**
ფინიქსი: ბარბოსა (26 ქულა, 10 პასი), სტუდემაიერი (23 ქულა, 10 მოხსნა)
ფილადელფია: აივერსონი (23), გრინი (20)

**ლეიკერსი 107:100 ტორონტო**
ლეიკერსი: ბრაიანტი (31 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი)
ტორონტო: ბოში (20 ქულა, 10 მოხსნა), პიტერსონი (20)

**სან ანტონიო 100:83 ჩიკაგო**
სან ანტონიო: დანკანი (21 ქულა, 11 მოხსნა,), ბერი (14)
ჩიკაგო: გორდონი (21), დენგი (14)

**ბოსტონი 118:90 პორტლენდი**
ბოსტონი: პირსი (29), შჩერბიაკი (19), ვესტი (17)
პორტლენდი: რენდოლფი (23 ქულა, 12 მოხსნა)

**დეტროიტი 100:91 ვაშინგტონი**
დეტროიტი: ჰამილტონი (27), ვოლესი (20 ქულა, 10 მოხსნა), პრინსი (20)
ვაშინგტონი: ბატლერი (29), არენასი (20)

**კლივლენდი 92:76 მინესოტა**
კლივლენდი: ჯეიმსი (37 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), ილგაუსკასი (14)
მინესოტა: გარნეტი (14 ქულა, 11 მოხსნა, 5 ჩაჭრა)

**მემფისი 103:115 დალასი**
მემფისი: უორკი (26), სვიფტი (21)
დალასი: ნოვიცკი (26 ქულა, 10 მოხსნა), დამპიე (22 ქულა, 15 მოხსნა)

**სიეტლი 109:118 იუტა**
სიეტლი: ალენი (32), ლუისი (24)
იუტა: უილიამსი (27), ჰარპრინგი (21), ოქური (15 ქულა, 11 მოხსნა), ბუზერი (14 ქულა, 13 მოხსნა)

**მაიამი 76:100 ნიუ იორკი**
მაიამი: ვეიდი (20), ჰასლემი (13)
ნიუ იორკი: კროუფორდი (19), ფრენსისი (14)

**ინდიანა 91:100 ნიუ ჯერსი**
ინდიანა: ჰარინგტონი (18), ონილი (17), ტინსლი (16)
ნიუ ჯერსი: კარტერი (28), კრისტიჩი (18), კიდი (17)

**18 ნოემბერი**

**ორლანდო 97:83 შარლოტი**
ორლანდო: ჰოვარდი (24 ქულა, 21 მოხსნა), ჰილი (15)
შარლოტი: ოკაფორი (26)

**ვაშინგტონი 111:99 კლივლენდი**
ვაშინგტონი: არენასი (45), ჯეიმისონი (16)
კლივლენდი: ჯეიმსი (20), ილგაუსკასი (16)

**ნიუ ჯერსი 68:86 პორტლენდი**
ნიუ ჯერსი: კარტერი (18), კრისტიჩი (13), კიდი (12)
პორტლენდი: რენდოლფი (20 ქულა, 16 მოხსნა)

**მინესოტა 96:99 ნიუ ორლეანი**
მინესოტა: გარნეტი (22 ქულა, 17 მოხსნა), ჰადსონი (20)
ნიუ ორლეანი: პოლი (35), სტოიაკოვიჩი (20)

**დეტროიტი 104:92 ჰიუსტონი**
დეტროიტი: ჰამილტონი (30), ბილაფსი (23), ვოლესი (15 ქულა, 11 მოხსნა)
ჰიუსტონი: მინი (33 ქულა, 16 მოხსნა), მაკგრეიდი (24)

**ნიუ იორკი 118:122 ბოსტონი**
ნიუ იორკი: კროუფორდი (37), რობინსონი (19), ფრენსისი (18)
ბოსტონი: პირსი (39), გომესი (22 ქულა, 14 მოხსნა), შჩერბიაკი (20)

**დალასი 89:84 მემფისი**
დალასი: ნოვიცკი (24 ქულა, 13 მოხსნა), ტერი (19)
მემფისი: გაი (23), ეტკინსი (17)

**მილუოკი 100:102 ინდიანა**
მილუოკი: რედი (21), უილიამსი (19 ქულა, 11 პასი), ბოგუტი (14 ქულა, 12 მოხსნა)
ინდიანა: ონილი (20 ქულა, 12 მოხსნა), ჯექსონი (17), ტინსლი (15)

**დენვერი 117:109 ტორონტო**
დენვერი: ენტონი (34), სმიტი (16)
ტორონტო: ბოში (31), ფორდი (26 ქულა, 18 პასი), გარბახოსა (17 ქულა, 10 მოხსნა)

**იუტა 120:117 ფინიქსი**
იუტა: უილიამსი (25 ქულა, 14 პასი), ბუზერი (22 ქულა, 16 მოხსნა), ბილსეპი (18 ქულა, 10 მოხსნა)
ფინიქსი: მერიონი (35), ბელი (20), ბარბოსა (15 ქულა, 11 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 107:95 სიეტლი**
გოლდენ სტეიტი: ელისი (31), პიეტრუსი (19 ქულა, 12 მოხსნა), რიჩარდსონი (18)
სიეტლი: ალენი (34 ქულა, 11 მოხსნა), ლუისი (17)

**კლიპერსი 103:97 ფილადელფია**
*ძირითადი დრო 90:90*
კლიპერსი: ბრენდი (33 ქულა, 12 მოხსნა), მეჯიტი (21), როსი (14)
ფილადელფია: აივერსონი (29), დალემბერტი (14), იგუდალა (13)

**ატლანტა 88:93 მაიამი**
*ძირითადი დრო 74:74*
ატლანტა: კლაქსტონი (2), ჯონსონი (22), უილიამსი (7), სმიტი (16 ქულა, 13 მოხსნა), ფაჩულია (26 წუთი, 12 ქულა, 11 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება); ლუ (13), რაიტი (8), სტუდემაიერი (8), ბიზმანი (2), ჯონსი
მაიამი: პეიტონი, ვეიდი (37 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), უოლკერი (4), ჰასლემი (21 ქულა, 17 მოხსნა), მურნინგი (9); უილიამსი (10), დოლიკი (8), რაიტი (2), კაპონო (2), პოუზი

ამქვეყნად ყველაფერი რომ წარმავალია, ყველამ კარგად ვიცით, „ატლანტა ჰოქსის“ იღბალი კი სწრაფად წარმავალი ყოფილა. ზაზა ფაჩულიას გუნდმა ზედიზედ მესამე წაგება ჩაიწერა პასივში და მოგება-წაგებით ბალანსი გაუთანაბრდა. არადა, რა კარგად დაიწყეს „ქორებმა“ ეს სეზონი?! ბოლო წლებში ისინი ერთთავად სხვათა კუდში მიჩანჩალებდნენ, ახლა კი საწყისი 5 მატჩიდან 4 მოიგეს და და მცირე ხნით, მაგრამ მაინც ცა ქუდად მოირგეს და ნშა ქალამნად.

იღბალი შემთხვევით არ ვახსენეთ, „ატლანტას“ სწორედ რომ არ გაუმართლა. ამ სამი წაგებული შეხვედრიდან ორი ოვერტაიმში დათმო, ერთი კი მხოლოდ ერთი ქულით.

არც „მაიამის“ წამოქცევა უჩანდა „ატლანტას“ მიუღწეველ მიზნად. ჩემპიონი კია, მაგრამ ამ „მაიამის“ ყველა უგებს, ვინც სირბილს არ იზარებს. წინა დღითაც უხეირო „ნიუ იორკმა“ 24 ქულით შეარცხვინა. თანაც ფლორიდელებს აკლიათ მუხლმტკივანი შაკილ ონილი. მაგრამ „ატლანტას“ ამანაც არ უშველა. ალონის ჰასლემმა და ზო მურნინგმა ფარქვეშეთი საიმედოდ გაამაგრეს და გუნდის ლიდერ დუეინ ვეიდს შესატევად კარგი საფუძველი შეუქმნეს. „ატლანტა“ ასე თუ ისე ახერხებდა ვეიდისგან თავის დაცვას ძირითად დროში, მაგრამ ოვერტაიმში ველარა გააწყო და პირადად მისგან 7 ქულა მიიღო კალათში. ესეც სათქმელია, რომ ატლანტელები შეტევაშიც ვერ მოქმედებდნენ დამაჯერებლად. მეოთე მეოთხედისა და დამატებითი ხუთწუთეულის მიჯნაზე თამაშიდან 7 წუთის განმავლობაში ვერ ჩააგდეს ბურთი.

მურნინგისა და ჰასლემის დევნაში დიდი ჯაფა დაადგა „ატლანტას“ ჩვენებურ ცენტრ ზაზა ფაჩულიას, რომელმაც მხოლოდ 26 წუთი დაყო მოედანზე და 6 პერსონალურის გამო გამოეთიშა ამ დრამატულ თამაშს, თუმცა მაინც მოასწრო 12 ქულის და 11 მოხსნის შეგროვება და მიმდინარე სეზონში მეორედ შეასრულა ორმაგი დუბლი. პირველი მას სეზონის სადებიუტო შეხვედრაში, „ფილადელფიასთან“ ჰქონდა — 15 ქულა და 12 მოხსნა.

**კოტე ყორშია**

# თბილისი შავმა კაცმა გადაირბინა




ვინსენტ კიპჩირჩირმა „ეროვნულს“ ეულად უწია

**გუშინ** ქალაქის ცენტრში ბევრი თბილისელის ცნობისმოყვარე მზერას იპყრობდა ჯერ ვაკეში, მერე ვერაზე, რუსთაველზე, თავისუფლების მოედანზე, ბარათაშვილის ხიდზე, სანაპიროზე თუ მუშტაიდის ბაღთან ეულად მორბენალი შავი კაცი. მას კარგა ხნის მერე მეორე მიჰყვა, თეთრი, მერე მესამე, მეოთხე... თუმცა ამ ერთადერთი შავი კაცის დაწევა ვერავინ შეძლო. დაწევას ვინ ჩივის, უმალ დაწინაურებული მდევრებთან მანძილს სულ უფრო ზრდიდა. ეს კაცი კენიელი ვინსენტ კიპჩირჩირი იყო, რომელიც თბილისში გერმანიის ქალაქ ბინიფერტიდან ჩამოვიდა, სადაც ნახევარმარათონში მეოთხე ადგილი დაიკავა, აქ კი 10 კილომეტრზე რბენაში ყველას აჯობა.

ამგვარად, ეს ვინსენტ კიპჩტირჩირი სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზიორ მაია აზარაშვილის სახელობის საერთაშორისო გარბენის კიდევ ერთი კენიელი გამარჯვებული გახდა.

ეს ასპარეზობა აქამდე ბორჯომში იმართებოდა და მისი მონაწილენი იქაურ წიწვნარში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ახლა, მეხუთე ტურნირმა კი თბილისის ასფალტზე გადმოინაცვლა.

— აქამდე ჩვენი ბუნების სილამაზის გამო ამ საერთაშორისო კროსს ბორჯომში ვატარებდით და იქაური ბუნების მშვენიერებით თავსაც ვიწონებდით. ახლა კი, როცა თბილისიც გალამაზდა, შეჯიბრება აქ გადმოვიტანეთ — გვითხრა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ მდინარაძემ.

ასე იყო თუ ისე, თბილისურმა გარბენმა თავი მოუყარა აზერბაიჯანის, ამერიკის, ინგლისის, კენიის, მოლდოვის, რუსეთის, სომხეთის, უკრაინის, ჰოლანდიისა და ჩვენს მორბენლებს. შეჯიბრის მონაწილეებს ბოლოს კიდევ ორი ამერიკელი მოყვარული მორბენალი ახალგაზრდა ქალბატონი შეემატა, ამ ტურნირში, თუ ნებას მოგვცემთ, პირადი სიამოვნებისთვის ჩვენც გამოვალთო. გამოვიდნენ კიდეც და სიცილ-კისკისით ფინიშამდე, ეროვნულ სტადიონამდეც მიაღწიეს.

ამ გარბენში ქალებიცა და კაცებიც ერთად მონაწილეობდნენ, თუმცა გამარჯვებულნი და სხვა პრიზიორები, რა თქმა უნდა, ცალ-ცალკე გამოვლინდნენ.

როგორც ვთქვით, კენიელ ვინსენტ კიპჩირჩირს სერიოზული მეტოქეობა ვერავინ გაუწია და პირველობაც მან მოიგო — 31.29,7. მეორეზე გერმანელი დანიელ პიტერი გავიდა — 33.17,0, მესამეზე — სომხეთის წარმომადგენელი სევაკ ევივიანი — 33.14,0, მას კი ჩვენი გიორგი შეკრელიძე მიჰყვა — 33.43,8.

ქალებში პირველი იყო არაერთი საერთაშორისო მარათონის პრიზიორი, რუსი იულია ვინოკუროვა (35.52,4), რომელმაც არა მხოლოდ თანასქესელები, კაცთა უმრავლესობაც ჩამოიტოვა. მეორე ადგილზე, ისე როგორც შარშან, უკრაინელი კატარინა კარმანენკო გავიდა (36.19,0), ხოლო მესამეზე მოლდოველი სვეტლანა შპილიოვა (37.17,7). ქართველებიდან საუკეთესო გიული დეკანაძე (38.56,3) აქაც მეოთხე იყო.




იულია ვინოკუროვა, კატარინა კარმანენკო და სვეტლანა შპილიოვა

**ავთანდილ ჭყვიშელი**

სუმო



იოკოძუნა ასასიორიუ (მარჯვნივ) ვერც ივაკიამამ შეაჩერა

# მერვე ნაბიჯი და მაკეკოში

## კოკაი წოდებას დაემშვიდობა

სეზონის ბოლო დიდი ბაშოს ფინიშამდე ლამის ნახევარი გზა ჯერ წინაა, მაგრამ ქართველმა რიკისიმ, ლევან ცაგურიამ, უკვე დადებითი ბალანსის — კატიკოსის შესრულების შანსი დაკარგა. აქედანვე ცნობილია ისიც, რომ კოკაი სუმოს მეოთხე იერარქიულ საფეხურს — კომუსუბის წოდებასაც დაემშვიდობა. მომავალ სეზონს ჩვენებური მაეგაშირის რანგში დაიწყებს.

რვა ტურის შემდეგ კოკაის ანგარიშზე ქულაც არ მოეპოვება. ასე კატასტროფულად ცაგურიას უმაღლეს დივიზიონ მაკუტიში არც ერთი ბაშო არ დაუწყია. მინუსბალანსი — მაკეკოში ქართველს გაშინ ოძეკი ტიოტაიკაიმ გამოუწერა. „მარადიულობის ოკეანედ“ წოდებულ დევკაცთან „შავ ზღვას“ საფირმო ტუპარებმაც არ უშველა.

დღეს კოკაის ტიოტაიკაიზე გაცილებით ძლიერ და მრისხანე მეტოქესთან მოუწევს დაჭიდება. უქულო ქართველი იმპერატორის თასის თვრამეტგზის მომგები მონღოლის, ასასიორუს პირსპირ დადგება. ოცდამეერთე საუკუნის პირველი და ერთადერთი იოკოძუნა მეცხრამეტე თასისკენ წაუგებლად მიიწევს და თქმაც არ უნდა, დღესაც ფავორიტია, თუმცა მიმომხილველებს არც ის ავიწყდებათ, რომ კოკაის „ცისფერი დრაკონი“ დიდ ბაშოებზე ორჯერ გაუმწარებია.

რვა ტურის შემდეგ ასპროცენტიან მაჩვენებელს მხოლოდ ასასიორიუ და კაიო ინარჩუნებენ. გუშინდლამდე მათ გვერდით სეკივაკე კოტომაცუკიც იწონებდა თავს, მაგრამ მოულოდნელად 115-კილოგრამიან ამასთან წააგო.

ველორბოლა

# როგორ შევამსუბუქოთ ველოსიპედი?

ველორბოლა საქართველოში განსაკუთრებით გაჭირვებულ და მივიწყებულ სახეობებს განეკუთვნება. თბილისის, ქუთაისისა და აჭარის სკოლების ბაზაზე დაკომპლექტებული ნაკრები მხოლოდ ფედერაციის მიერ მოძიებული სახსრებით ცდილობს ფონს გასვლას. ნაკრების მწვრთნელმა *ბორის კილასონიამაც*, ინტერვიუსთვის რომ შევეხმიანეთ, საუბარი სწორედ ამ გაჭირვებით დაიწყო...

— სპორტულ სახეობათა უმეტესობამ წინასწარ, ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე იცის, რამხელა ბიუჯეტი ექნება და შემდეგ ხელთ არსებულ თანხებს შეძლებისდაგვარად მთელ წელზე ანაწილებს. ჩვენ კი რა ხანია, ბიუჯეტის გარეშე გვიწევს არსებობა.

**— წლეულს რამდენიმე უცხოურ ტურნირზე როგორლა შეძელით გამოსვლა?**

— ეს მთლიანად ველორბოლის ფედერაციის პრეზიდენტ ბესარიონ ნადირაძის დამსახურებაა. ფაქტობრივად, პრობლემის მოგვარება მარტოს უწევს. სწორედ მის მიერ მოძიებული თანხებით შევძელით საერთაშორისო ტურნირებსა და ევროპის ჩემპიონატის მოვლა.

**— ბიჭების საერთაშორისო შედეგებით კმაყოფილი დარჩით?**

— თუ არსებულ პირობებს გავითვალისწინებთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ნაკრების წევრები უცხოეთშიც საკმაოდ კარგად გამოვიდნენ. საერთაშორისო სეზონი ივლისში ირანული შეჯიბრით დავიწყეთ. იქ გიორგი ნადირაძემ ყველაზე რთული ეტაპის მოგება შეძლო. ირანში აგვისტოშიც ჩავედით, საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში შეტანილ ტურნირზე. შუალედში კი ნადირაძე ავსტრიაში, ევროპის ჩემპიონატზეც გავუშვით. იქაც საკმაოდ კარგად გამოვიდა — ცხრილის შუაში დასრულა ევროპირველობა. ბოლო საერთაშორისო ტურნირი კი თურქეთში, ქალაქ კონიაში ჩატარდა ორიოდ თვის წინ. მრავალდღიან რბოლაში გიორგიმ ორი ეტაპის მოგებაც მოახერხა, აქტიურობის პრიზიც მისცეს და ერთხანს ლიდერის მაისურასაც ფლობდა. ძალიან ნიჭიერი სპორტსმენია და ხელშეწყობის შემთხვევაში, გაცილებით მაღალი მიზნებისთვის ბრძოლასაც შეძლებს. იმავეს ვიტყვი ნაკრების სხვა წევრებზეც. ნოდარ ყვავაძე, კახა ლოსეურაშვილი და არჩილ მახარაშვილი ასაკით პატარები არიან, მაგრამ პერსპექტიულები.

**— ველორბოლა ოლიმპიური სახეობაა. პეკინის საგზურების გათამაშება როდის დაიწყება ან თუ გვაქვს ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი?**

— სალიცენზიო ტურნირები გაისად ჩატარდება. ზოგ შეჯიბრზე პირდაპირ შედეგების მიხედვით დარიგდება ლიცენზიები, ზოგზეც ქულები დაერიცხებათ და ბოლოს დაჯამდება. სამწუხაროდ, მთელ რიგ სალიცენზიო ტურნირებზე მოხვედრაც კი შეუძლებელი იქნება, ფინანსებიც რომ გამოიძებნოს. რა გაეწყობა, სადაც დაგვიშვებენ, იქ გამოვალთ და ეგებ ესეც საკმარისი აღმოჩნდეს.

**— წლეულს რამე ტურნირი კიდევ დაგრჩათ?**

— სეზონი დსრულდა. უახლოესი საერთაშორისო ტურნირი მარტშია. იქამდე კი სასურველია, გუნდი შეიკრიბოს და ხეირიანად მოემზადოს. ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ავთანდილ ხახიაურს, მსოფლიოს დონის ვარსკვლავები დაუზრდია და ამ ბიჭებითაც შეძლებს კარგი გუნდის გაკეთებას. მთავარია, ხელი შეგვიწყონ.

**— სპორტული ინვენტარის შეძენაშიც არავინ გეხმარებათ?**

— თანამედროვე ველოსიპედები საკმაოდ ძვირი ჯდება. ბიჭებს თავიანთი სახსრებით უწევთ ამ პრობლემის მოგვარება. ახლახან ახალი ველოსიპედები შეიძინეს ნადირაძემ და ყვავაძემ. მართალია, საუკეთესო მოდელები ვერაა, მაგრამ ძველებს ათი თავით სჯობს. თავად განსაჯეთ, თანამედროვე ველოსიპედი 6-7 კილოგრამია, ჩვენ კი წლევანდელი ტურნირები ძველი, 16-კილოგრამიანი ველოსიპედებით მოვიარეთ. უნდა გენახათ, უცხოელი სპორტსმენები როგორი თვალებით გვიყურებდნენ თურქეთში ტრასაზე არც კი გვიშვებდნენ, მსაჯმა დიდი ხვეწნა-მუდარის მერეღა დაგვრთო მონაწილეობის ნება. ფედერაციის გარდა, ველოსპორტზე ქალაქის მერიის სპორტსკოლასაც შესტკივა გული. აქვე ქუთაისის კომპლექსურ სკოლასა და აჭარის სკოლასაც ვახსენებ, მაგრამ მხოლოდ ენთუზიაზმით შორს წასვლა ძნელია.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ზვიადი ფალავანი

## ხანჯალიაშვილმა შეჯიბრება გააპო: თვითონ და სხვები



ზვიად ხანჯალიაშვილი

ამ უქმეებზე სპორტის სასახლეში ქართული ჭიდაობის ზეიმი იყო. უძლიერესმა ქართველმა ფალავნებმა ჩოხები მოირგეს და ტრადიციულად, ზურნა-დოლ-გარმონის ხმაზე ლამაზი სანახაობა გაჩაღდა. შაბათს პირადი პირველობა შედგა, ხოლო კვირას — გუნდური. გამარჯვებულ გუნდს „პრეზიდენტის თასი" გადაეცა.

აბსოლუტური ფალავნობისთვის შეხვედრების დაწყებამდე ჩემპიონპრიზიორები ოთხ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. 75 კილოგრამში ყველას გიორგი ბაზანდარაშვილმა აჯობა, 80-ში — გიორგი ბაინდურაშვილმა, 90-ში — იოსებ მსხალაძემ, +90-ში კი ზვიად ხანჯალიაშვილმა.

აბსოლუტურში თითოეული წონის ორ-ორი საუკეთესო გადაერთო. +90-კილოგრამში წარუმატებლობის გამო ფალავნობის შანსები ადრიდანვე დაკარგეს ლაშა გუჯეჯიანმა, გიორგი ყიზილაშვილმა და ზვიად ჩინჩალაძემ. მაყურებელი სწორედ ამ სამეულის და გოლიათი ზვიად ხანჯალიაშვილის დაძაბულ შეხვედრებს ამაოდ ელოდა. 2006 წლის ფალავანი ხანჯალიაშვილი გახდა, თან ისე, მცირე პრობლემაც ვერავინ შეუქმნა. ფინალურ რვეულში მეტოქეებთან წონით და სიმაღლით ზვიადს იმხელა უპირატესობა ჰქონდა, შეხვედრათა უმეტესობა უბრძოლველად მოიგო. ფინალში მსხალაძეს აჯობა და ლამაზ თასთან ერთად საჩემპიონო თანხა, 3 ათასი ლარიც ირგუნა.

„პრეზიდენტის თასზე" გაცილებით მძიმე ბრძოლები ვიხილეთ. საქართველოს ლამის ყველა რეგიონის თოთხმეტი ნაკრებიდან ნახევარფინალში თბილისმა, იმერეთმა, კახეთმა და მცხეთა-მთიანეთმა გააღწიეს. მერე თბილისმა იმერეთს სძლია — 6:1, ხოლო მცხეთა-მთიანეთმა — კახეთს 4:3. ამ შეხვედრაში საწყისი სამი წონის შემდეგ კახელები 3:0-ს იგებდნენ და ალბათ მათ ფინალს მიღმა დარჩენას ვერავინ იფიქრებდა, თუმცა ჯერ იყო და ანგარიში გათანაბრდა, მერე კი გადამწყვეტი ქულა მცხეთა-მთიანეთის მძიმეწონოსანმა ადამ ოქრუაშვილმა მოიპოვა. აქვე გეტყვით, რომ კახელებს მძიმე წონაში არც ხანჯალიაშვილი ჰყავდათ და არც ყიზილაშვილი. დილის აწონვაში არც ერთს მონაწილეობა არ მიუღია და ორგანიზატორებმაც აღარ აჭიდავეს.

მეშვიდე ბრძოლა აღმოჩნდა გადამწყვეტი ფინალშიც. ერთმანეთს გუჯეჯიანი და ოქრუაშვილი დაუპირისპირდნენ. გუჯეჯიანმა 5:0 იმარჯვა და „პრეზიდენტის თასი" თბილისში დატოვა. ჩემპიონი გუნდი უზარმაზარი გარდამავალი თასით და ხუთი ათასი ლარით დაჯილდოვდა. მცხეთა-მთიანეთს 3 ათასი გადასცეს, ხოლო მესამეადგილოსან იმერეთს — 2 ათასი. ნახევარფინალური მარცხით გულგატეხილმა კახელებმა იმერლებთან ჭიდაობაზე უარი თქვეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



პრეზიდენტის თასის მფლობელი თბილისის გუნდი



### მასტერსის თასი. შანხაი

ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 4 500 000 $

# როჯერ დიადი

## ფედერერმა ჩოგბურთი ცალკორტა გახადა

**ნახევარფინალი**

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) 6:4 7:5 რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი)

ჯეიმს ბლეიკი (8, აშშ) 6:4 6:1 დავით ნალბანდიანი (7, არგენტინა)

**ფინალი**

ფედერერი 6:0 6:3 6:4 ბლეიკი




6:0 6:3 6:4 — დიდი ტურნირის ფინალისთვის და მასტერსის თასი სწორედაც რომ დიდი ტურნირია, მართლაც რომ მიუღებელი ანგარიშია, მაგრამ როდესაც კორტზე როჯერ ფედერერია, მიუღებელი და წრმოუდგენელი აღარ არსებობს.

შვეიცარიელმა გენიოსმა იანვარში, დოჰას ტურნირის მოგებით დაწყებული ფანტასტიკური სეზონი ფანტასტიკურადვე დაასრულა — წელს მე-12 ტიტული მოიპოვა და ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს 12 ტიტული „მხიარულმა როჯერმა" ოდენ 17 ტურნირში მოინაგრა.

17 ტურნირიდან ფედერერმა თექვსმეტში ფინალს უწია და 12 მოიგო. აქედან სამი დიდი სლემის (ავსტრალია, უიმბლდონი, აშშ), ოთხი მასტერსის, ოთხი რიგითი შეჯიბრი და ბოლოს წლის შემაჯამებელი მასტერსის თასიც. ამ 17 ტურნირზე როჯერმა 97 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ხუთი წააგო. სეზონში 92 გამარჯვება — 1982 წლის შემდეგ, როდესაც ლეგენდარულმა ივან ლენდლმა 115 შეხვედრიდან 106 მოიგო, ამდენი მატჩი აღარავის მოუგია.

ახლა ისიც ვთქვათ, რომ საკუთრივ მასტერსის თასი ალპელმა ბოლო ოთხ წელიწადში მესამედ მოიგო და ამ შეჯიბრზე ჩატარებული 24 მატჩიდან მას მხოლოდ ორი აქვს წაგებული. კიდევ ისიც ვთქვათ, რომ შანხაიში გამარჯვების წილ ფედერერს მილიონნახევარი დოლარი ერგო და მისმა წლევანდელმა საპრიზო მონაგარმა წარმოუდგენელი თანხა — 8,34 მილიონი დოლარი შეადგინა.

ფინალი, რომელშიც დიადმა როჯერმა მისხალი შანსი არ დაუტოვა კარიერის საუკეთესო სეზონის ჩამტარებელ ამერიკელ ჯეიმს ბლეიკს, საათსა და 37 წუთს გაგრძელდა და, როგორც წელს ჩატარებული მატჩების უდიდესი უმრავლესობა, ერთი მსახიობის თეატრად იქცა — ფედერერი აკეთებდა ყველაფერს, რაც მოესურვებოდა, აგდებდა წარმოუდგენელ ბურთებს, აწვდიდა ეისებს, იღებდა ბლეიკის ნებისმიერ დარტყმულს და ეს იმ ფონზე, რომ თავად ამერიკელი მაქსიმალური მონდომებით თამაშობდა. თამაშობდა, მაგრამ შვეიცარიელის ფონზე საერთოდ აღარ ჩანდა — კორტი ერთი კაცის იყო და ამ კაცს როჯერ ფედერერი ერქვა.

შვეიცარიელისთვის მთავარი მატჩი ალბათ ნახევარფინალში იყო რაფაელ ნადალთან. წელს რომ როჯერმა 5 მატჩი წააგო, იმ ხუთიდან ოთხი ნადალის წყალობით იყო და მსოფლიოს პირველ ჩოგანს, ბუნებრივია, განსაკუთრებით სურდა ესპანელის დამარცხება. ამიტომ იყო, ფედერერმა თავიდანვე ზემძლავრად, ეისებით რომ დაიწყო, თანაც ბრეიკიც უმალ გაახერხა და 3:0 დაწინაურდა. თითქოს პირველი სეტის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ 5:2-ზე ნადალმა ზედიზედ რვა (!) მოწოდება მოიგო, ორი გეიმი ნულზე დაასრულა და ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა, მაგრამ როჯერი უმალ გამოფხიზლდა, მე-10 გეიმში კიდევ ერთი ბრეიკი გაახერხა და სეტი მოიგო. მეორე პარტიის ბედიც ბოლოსკენ გაირკვა — შვეიცარიელმა მე-12 გეიმში გააკეთა გადამწყვეტი ბრეიკი და თავისთვის ყველაზე უხერხული მეტოქე დაამარცხა, თუმც ურთიერთშეხვედრებში ნადალი ჯერაც გვარიანად წინაა — 6:3.

მეორე ნახევარფინალში კი ბლეიკმა შანსი არ დაუტოვა მასტერსის თასის შარშანდელ გამარჯვებულ დავიდ ნალბანდიანს და ამით ფედერერს ერთი წლის წინანდელ ფინალში მარცხის გამო რევანშის აღების საშუალება არ მისცა.

ნალბანდიანთან ფინალური რემატჩი არ შედგა და როჯერმაც იმას გადაუარა ვინც შეხვდა. ახლა ერთი კითხვაღა ისმის — როდემდე გაგრძელდება ასე, ანუ ერთი კაცის ბატონობა, რადგანაც თუ ოოხა და ნადალი არ არის, ფედერერის დამმარცხებელი არავინ ჩანს.

**გია მუჯირი**

ავტორბოლა

# ცისფერი ოვალი ელიტას დაუბრუნდა

## როსიმ ბორბლები გაიორმაგა


AFP ჰამილტონიდან

კივის ქვეყნის რალიმ წლეულს მისამართი შეიცვალა — ზღვისპირა ოკლენდიდან ასიოდე კილომეტრით დაშორებულ ჰამილტონის შემოგარენში გადაინაცვლა. ახალ ზელანდიაში ახლა საგაზაფხულო წვიმების პერიოდია, ამდენად ეკიპაჟებს ატალახებულ და სრიალა მიწალორღიან გზებზე მოუხდათ წვალება. ისე, სარბოლო სამდღიურში არცთუ ბევრი მანქანა გამოთიშულა.

სეზონის ბოლოსწინა ეტაპის წინ ჩემპიონისა და მეორე პრიზიორის ვინაობა უკვე გარკვეული იყო, რის გამოც, ბუნებრივია, ბრძოლას სიმწვავე მოაკლდა. ღიად კი რჩებოდა კონსტრუქტორთა თასის საკითხი, თუმც „ფორდს“, რომელიც 16 ქულით უსწრებდა „სიტროენ-კრონოსს“, პირველობის მოპოვება არ უნდა გასჭირვებოდა. მითუმეტეს, რომ არც ამჯერად გაუჯირითია ორი თვის წინ ხელმოტეხილ სებასტიენ ლოებს.

მსოფლიოს უკვე სამგზის ჩემპიონის არყოფნაში მის უმცროს თანასიტროენელებს გამარჯვების მისხალი შანსიც არ ჰქონიათ. ფინელი პილოტების მარკუს გრონჰოლმისა და მიკო ჰირვონენის „ფორდებმა“ სწორედ რომ იფრინეს ნაწვიმარ, ვიწრო გზებზე. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა გრონჰოლმა 17-დან 13 ჩასათვლელი მონაკვეთი ყველაზე სწრაფად გაიქროლა და საბოლოოდ უზარმაზარი, თითქმის სამწუთიანი სხვაობით ჩამოიტოვა ლოების შემცვლელი ხავიერ პონსი. სახელოვან თანამემამულეს მიკომაც მშვენივრად აუბა მხარი, სუომელმა „ფორდელებმა“ დუბლით გაიმარჯვეს და ამერიკულ „ცისფერ ოვალს“ 27 წლის შემდეგ მეორედ მოაგებინეს გუნდური თასი.

საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მოტომრბოლის ვალენტინო როსის გამოსვლა. 27 წლის „დოქტორმა“ გადაწყვიტა, ახლა ოთხბორბლიანი მანქანით ეცადა ძალა და „სუბარუ იმპრეზას“ საჭეს მიუჯდა. ეს, ცხადია, ერთჯერადი ამბავია, ისე როგორც როსის წლეულს „ფერარით“ საპირველფორმულო ტესტებში მონაწილეობა, დიად იტალიელს ხომ გაისადაც „იამაჰას“ მოტორაშით მოუწევს ტრასებზე ბრძოლა.

ნაწვიმარზე ვალენტინოს თავიდან ცხადია, გაუჭირდა, რამდენჯერმე მოსახვევში ვერ „ჩაეწერა“ და ბლომად დროც დაკარგა — პირველ დღეს ძალიან უკან, 33-ე პოზიციაზე აღმოჩნდა. მაგრამ თანდათან ალღო აუღო ჭირვეულ „ტრასას“ და ფინიშთან მე-11 მივიდა რამდენიმე სახელოვან და გამოცდილ მერალეზე წინ, რაც ახალბედას კვალობაზე მშვენიერი შედეგია.

**გია ახალაძე**

### მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
### XV ეტაპი. ახალი ზელანდია. 358,5 კმ

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) | 4სთ; 02.30,7 |
| 2 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) | ჩამორჩა 56,0 |
| 3 | მანფრედ შტოლი (ავსტრია, პეჟო) | 2.39,3 |
| 4 | ხავიერ პონსი (ესპანეთი, სიტროენი) | 2.56,1 |
| 5 | დანიელ სორდო (ესპანეთი, სიტროენი) | 3.20,7 |
| 6 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 4.57,1 |
| 7 | ლუის პერეს კომპანსი (არგენტინა, ფორდი) | 10.51,6 |
| 8 | იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, სუბარუ) | 16.22,4 |

**საერთო ჩათვლა**

1 ლოები — ელენა (საფრანგეთი, სიტროენი) 112 ქულა; 2 გრონჰოლმი — რაუტიაინენი 101; 3 ჰირვონენი — ლეჰტინენი 65; 4 სორდო — მარტი (ესპანეთი, სიტროენი) 47; 5 შტოლი — მინორი 46; 6 პეტერ სოლბერგი — მილსი 34; 7 პონსი — დელ ბარიო 28; 8 ჰენინგ სოლბერგი — მენკერუდი (ნორვეგია, პეჟო) 25; 9 გარდმაისტერი — ჰონკანენი (ფინეთი, პეჟო) 20; 10 ატკინსონი — მაკნილი (ავსტრალია, სუბარუ) 17

**კონსტრუქტორთა თასი**

BP-ფორდი 185 ქულა, კრონოს ტოტალ სიტროენი 160, სუბარუ WRT 97, OMV პეჟო ნორვეი 80, სტობარტ ფორდი 39, რედ ბულ შკოდა 23

ფრენბურთი

### მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები
### იაპონია. 17 ნოემბერი – 3 დეკემბერი


AFP ნაგანოდან

**A ჯგუფი**

II ტური

პოლონეთი 3:0 არგენტინა
25:21 25:22 25:21
პუერტო რიკო 2:3 ეგვიპტე
29:27 25:19 21:25 20:25 12:15
ჩინეთი 3:2 იაპონია
22:25 25:22 25:20 23:25 15:13

III ტური

არგენტინა 3:2 ჩინეთი
22:25 25:21 17:25 25:17 17:15
პოლონეთი 3:0 ეგვიპტე
25:13 25:19 26:24
იაპონია 3:1 პუერტო რიკო
25:23 25:20 21:25 36:34

*პოლონეთი 6 ქულა; იაპონია 5; პუერტო რიკო, ჩინეთი, არგენტინა, ეგვიპტე 4-4*

**B ჯგუფი**

II ტური

ბრაზილია 3:0 საბერძნეთი
25:19 25:18 25:16
საფრანგეთი 3:1 ავსტრალია
25:23 30:28 24:26 26:24
გერმანია 3:0 კუბა
25:14 25:23 25:20

III ტური

კუბა 3:0 ავსტრალია
25:15 25:19 25:20
საბერძნეთი 0:3 გერმანია
22:25 26:28 21:25
საფრანგეთი 3:1 ბრაზილია
20:25 25:22 25:23 29:27

*გერმანია, საფრანგეთი 6-6; ბრაზილია 5; კუბა 4; ავსტრალია, საბერძნეთი 3-3*

**C ჯგუფი**

II ტური

ვენესუელა 3:1 ირანი
25:20 23:25 25:17 25:20
იტალია 3:0 ჩეხეთი
25:22 25:19 25:23
ბულგარეთი 3:0 აშშ
30:28 25:22 25:21

III ტური

აშშ 3:1 ჩეხეთი
25:16 15:25 25:20 25:23
ბულგარეთი 3:1 ვენესუელა
22:25 25:17 25:22 25:17
იტალია 3:1 ირანი
25:15 21:25 25:21 25:19

*ბულგარეთი 6; იტალია, ვენესუელა 5-5; აშშ, ჩეხეთი 4-4; ირანი 3*

**D ჯგუფი**

II ტური

რუსეთი 3:0 ტუნისი
25:15 29:27 25:20
სერბეთი 3:1 ყაზახეთი
25:16 22:25 25:18 25:22
კანადა 3:1 სამხრეთ კორეა
26:28 25:23 25:16 25:23

III ტური

სამხრეთ კორეა 3:1 ყაზახეთი
25:22 23:25 25:18 25:21
სერბეთი 3:0 ტუნისი
25:21 25:12 25:23
რუსეთი 3:0 კანადა
25:19 25:20 25:21

*სერბეთი 6; რუსეთი, კანადა 5-5; სამხრეთ კორეა, ტუნისი 4-4; ყაზახეთი 3*

ჰოკეი

### რეგულარული ჩემპიონატი

**17 ნოემბერი**

**ვანკუვერი 4:2 სენტ ლუისი**
*1:1 2:0 1:1*
0:1 უაიტი (9), 1:1 მორისონი (15), 2:1 ნესლუნდი (27), 3:1 ნესლუნდი (38), 3:2 ტკაჩუკი (53), 4:2 კესლერი (59)

**კალგარი 4:1 დეტროიტი**
*2:0 1:0 1:1*
1:0 ჰუსელიუსი (8), 2:0 ლომბარდი (17), 3:0 ლენგკოუ (22), 4:0 ფანეფი (54), 4:1 კლირი (60)

**ნიუ ჯერსი 3:2 ოტავა**
*2:0 1:0 0:2*
1:0 ლანგენბრუნერი (3), 2:0 ლანგენბრუნერი (20), 3:0 პარისი (27), 3:1 ნილი (46), 3:2 ალფრედსონი (52)

**კოლუმბუსი 0:3 კოლორადო**
*0:1 0:2 0:0*
0:1 შჩასტნი (8), 0:2 ვაანანენი (30), 0:3 სვატოში (39)

**ანაჰაიმი 3:4 ჩიკაგო**
*1:0 2:2 0:1 0:0 (0:1 ბულიტები)*
1:0 ბოშმენი (1), 2:0 სელიანე (22), 2:1 ლაპოინტი (29), 3:1 კუნიტცი (36), 3:2 შარპი (37), 3:3 რუუტუ (51)

**ატლანტა 3:5 დალასი**
*1:3 0:1 2:1*
1:0 რუჩინი (1), 1:1 ბერნაბი (3), 1:2 რიბეირო (6), 1:3 რიბეირო (17), 1:4 შტეფანი (33), 2:4 მეტროპოლიტი (50), 3:4 ჰოსა (54), 3:5 მოდანო (55)

**ვაშინგტონი 1:4 კაროლინა**
*0:0 0:2 1:2*
0:1 კოული (35), 0:2 ბრინდამორი (37), 0:3 უიტნი (46), 1:3 ზედნიკი (50), 1:4 ბრინდამორი (59)

**ტამპა 3:2 აილენდერსი**
*2:1 0:1 0:0 0:0 (1:0 ბულიტები)*
1:0 ალექსეევი (3), 2:0 რიჩარდსი (6), 2:1 მარტინეკი (8), 2:2 იორკი (40)

**ბუფალო 4:2 პიტსბურგი**
*1:0 2:1 1:1*
1:0 აფინოგენოვი (7), 2:0 ვანეკი (29), 3:0 დრური (32), 3:1 კროსბი (36), 3:2 კროსბი (59), 4:2 კოტალიკი (60)

**18 ნოემბერი**

**ლოს ანჯელესი 5:3 ფინიქსი**
*1:0 2:2 2:1*
1:0 ფროლოვი (12), 2:0 ბლეიკი (25), 3:0 ფროლოვი (27), 3:1 ლარაკი (38), 3:2 პერო (39), 3:3 საპრიკინი (47), 4:3 კონროი (49), 5:3 ტორნტონი (60)

**კაროლინა 5:4 დალასი**
*2:1 1:0 2:3*
0:1 იოკინენი (6), 1:1 სტაალი (11), 2:1 უიოტნი (17), 3:1 სტაალი (22), 3:2 შტეფანი (48), 3:3 ჰელპერნი (49), 4:3 უილიამსი (54), 5:3 სტაალი (60), 5:4 მოდრი (60)

**ტორონტო 1:2 ნიუ ჯერსი**
*0:0 0:1 1:1*
0:1 ლანგენბრუნერი (37), 0:2 ელიაში (53), 1:2 ტაკერი (57)

**მინესოტა 1:2 კოლორადო**
*0:1 0:0 1:0 0:0 (0:1 ბულიტები)*
0:1 საკიკი (8), 1:1 კოივუ (55)

**ედმონტონი 4:3 დეტროიტი**
*2:1 0:1 1:0 0:0 (1:0 ბულიტები)*
1:0 ჰორკოფი (5), 1:1 ტრეიპერი (8), 2:1 ლუპული (11), 2:2 მარკოვი (26), 3:2 ტორესი (49), 3:3 გუდლერი (60)

**ოტავა 4:1 ბუფალო**
*0:1 1:0 3:0*
0:1 აფინოგენოვი (20), 1:1 შეფერი (26), 2:1 ჰითლი (42), 3:1 ვერმეტი (55), 4:1 ფილიპსი (58)

**ფლორიდა 1:4 აილენდერსი**
*0:1 1:1 0:2*
0:1 იაშინი (12), 1:1 პელტონენი (23), 1:2 ეშემი (35), 1:3 ბლეიკი (57), 1:4 შატანი (60)

**პიტსბურგი 3:1 რეინჯერსი**
*1:0 0:0 2:1*
1:0 სტაალი (15), 2:0 რეკი (47), 2:1 შენაჰენი (51), 3:1 რეკი (55)

**ბოსტონი 3:2 ვაშინგტონი**
*1:1 0:0 1:1 1:0 (ოვერტაიმი)*
1:0 აქსელსონი (2), 1:1 კლეპიში (8), 2:1 ჩარა (44), 2:2 ოვეჩკინი (57), 3:2 მიურეი (63)

**მონრეალი 3:1 ატლანტა**
*1:0 0:0 2:1*
1:0 რაიდერი (15), 2:0 მეტროპოლიტი (44), 2:1 პერეჟოგინი (47), 3:1 ბონკი (59)

**ნეშვილი 4:2 კოლუმბუსი**
*0:0 4:0 0:2*
1:0 დიუმონი (21), 2:0 ვებერი (28), 3:0 არნოტი (31), 4:0 არნოტი (32), 4:1 ფიოდოროვი (48), 4:2 ფრიტშე (52)

**სან ხოსე 6:1 ფილადელფია**
*3:1 3:0 0:0*
1:0 რისმილერი (3), 2:0 მიხალეკი (5), 2:1 სენდერსონი (9), 3:1 გრირი (11), 4:1 მაკლარენი (24), 5:1 კლოუ (30), 6:1 ბრაუნი (33)


„ტორონტო“ — „ნიუ ჯერსის“ მუშტი-კრივიც არ დაკლებია

# ინგლისმა ჯადო აიხსნა

**შემოდგომის დიდი რაგბი გრძელდება. ევროპულ მოედნებზე ბებერი კონტინენტის ყველა რეალურად ძლიერი ნაკრები შორეულ სტუმრებს მასპინძლობს. ძლიერი კი ევროპას ექვსი გუნდი ჰყავს. ამ უქმეებზე ყველა მათგანი ეთამაშა სამხრეთელ თუ ატლანტისგადაღმელ მეტოქეს. ირლანდია — ავსტრალია გუშინ გვიან დასრულდა, სხვა შეხვედრებზე კი მცირედს მოგახსენებთ**



ენდი რობინსონის ინგლისმა გამარჯვების გემო გაიხსენა

თვიქნემი. 18 ნოემბერი

**ინგლისი 23:21 სამხრეთ აფრიკა**

„ინგილსური რაგბის ისტორია-ში უცუდესი გუნდი" — ასე ეძახიან ახლანდელ ინგილისის ნაკრებს და მიუხედავად იმისა, რომ მსოფლისოს ჩემპიონები არიან, „ვარდებმა" ეს მწკლარტე ფრაზა ნამდვილად დაიმსახურეს. მათ წინა შვიდი თამაში წაეგოთ და ამ „საამაყო" სერიისთვის შაბათს ერთიც რომ მიეყოლებინათ, 135-წლიანი საერთაშორისო ტესტობის ისტორიაში უარეს შედეგს გამოაცხობდნენ.

და ყველაფერი აქეთაც მიდიოდა. წინა შაბათს დუბლინში ირლანდიასთან მარცხნაჭამი და არანაკლებ მონდომებული სამხრეთ აფრიკა ჯეიმსისა და ნდუნგანეს ლელოებით მეორე ტაიმის დასაწყისში 18:6 უგებდა ინგლისს. მასპინძლებმა კიდევ ერთ მარცხს და თავის მოჭრას მოედანზე „სიკვდილი" არჩიეს და უხეშ „ბურებს" თავგანწირვით ეკვეთნენ. პირველი ინგლისური ლელო მარკ კუეტომ მაშინ გატანა, როდესაც აფრიკელები 14 კაცით იყვნენ მოედანზე (მსაჯმა უხეშობისთვის იან დე ვილერსი გაასინბინა). მეორე ლელო კი 2003 წელს ავსტრალიის მსოფლიოს თასზე ნავაჟკაცევმა, მერე კი ტრავმებისგან და ოპერაციებისგან გაწამებულმა ბურჯმა ფილ ვიკერიმ გაიტანა, რომელმაც მატჩის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე თანაგუნდელთა დახმარებით ძალით შეგლიჯა აფრიკელთა დაცვის ცოცხალი კედელი. ვიკერის დარად შეცვლაზე შესულმა ენდი გუდმა კი ამ ლელოს გარდასახვა მიაყოლა და ინგლისს ჯადო ახსნა.

პარიზი. 18 ნოემბერი

**საფრანგეთი 11:23 ახ. ზელანდია**

დღესდღეობით მსოფლიოს ახალ ზელანდიაზე მძლავრი გუნდი რომ არ ჰყავს, ერთხელაც დამტკიცდა პარიზის „სტად დე ფრანსეზე". სამხრეთელი სამი ერის რიხინ-რიხინით მოგების შემდეგ შავები ევროპასაც დიდ ქვის ტაფაზე აშიშინებული ეროვნული კერძივით მადიანად მიირთმევენ — ორი კვირის წინ თვიქნემში ინგლისი 41:20 შესანსლეს, წინა შაბათს ლიონში საფრანგეთი 47:3 შეახრამუნეს, ახლა კი ფრანგებს კიდევ ერთხელ გაჰკრეს კბილი.

ისე კი ამჯერად „მამლები" ყინჩად დაუხვდნენ მომხდურებს და ამათ კაპიტან რიჩი მაკკოუს ათქმევინეს, ახლა სულ სხვა გუნდთან გვქონდა საქმეო. და მაინც, როკოთოკოს და მაანონუს წყვილ ლელოს და კარტერის ფეხგამოკრულ 13 ქულას ფრანგებმა პირველ ტაიმში მხოლოდ კარლ ეიმანის ლელო და მეორეში შეცვლაზე შესული დიმიტრი იაშვილის ორი საჯარიმო დაუპირისპირეს.

რომი. 18 ნოემბერი

**იტალია 16:23 არგენტინა**

რამდენიმე წლის წინ დიდ ხუთეულში მეექვსე წევრად მიღებულ და ევროპის უმძლავრეს გუნდებთან თამაშ-თამაშში მოყოჩაღებულ იტალიას იქნებ ამბიცია აწუხებდეს, მაგრამ ბიძაშვილ არგენტინასთან ჯერ რომ ვერ მივა, უკვე მერამდენედ გამოჩნდა. არგენტინამ წინა შაბათს თვიქნემში ინგლისი წამოაქცია და იტალიასთანაც გაუსაჩივრებელ ფავორიტად მიიჩნეოდა. ხოლო როცა „აძურიმ" „პუმათა" ფავორიტობის გასაჩივრება მოინდომა და საჯარიმოებით 9:3 უპირატესობა მოიპოვა, სტუმრებმა უმალ წყვილი ლელოთი დააცხრეს მათი ენთუზიაზმი — ჯერ 13:9 დაწინაურდნენ, შემდეგ კი — 20:9.

კარდიფი. 17 ნოემბერი

**უელსი 61:26 კანადა**

უელსი მომავალ შაბათს ახალ ზელანდიას მასპინძლობს და კანადასთან მატჩს „წითელი დრაკონებისთვის" მხოლოდ გამახურებელი მნიშვნელობა თუ ჰქონდა. კარგადაც გახურდნენ — 9 ლელო გაიტანეს და მთავარი დამრტყმელის, სტივენ ჯონსის მაგივრად მოთამაშე ჯეიმს ჰუკმა ამ ლელოებიდან 8 გარდასახა. კანადელებმა, რომელთაც ჩრდილოეთ ამერიკაში საუკეთესო გუნდი ჰყავთ, მეორე ტაიმში გატანილი ორი ლელოთი დააპურეს მშიერი თავმოყვარეობა.

მარიფილდი. 18 ნოემბერი

**შოტლანდია 34:22 ოკეანეთი**

სამი ოკეანეთური სარაგბო ქვეყნის — სამოას, ფიჯისა და ტონგას ნაკრებმა ვერ აჯობა, მაგრამ ხასიათი კი გაუფუჭა შოტლანდიელებს. სქოთებს ჯერ გამარჯვებაც არ ჰქონდათ ნათქვამი, რომ კუნძულელებმა ორი წამყვანი მოთამაშე — კიუსიტერი და ბათი ისე დაუწიხლეს, სასწრაფოდ სასწრაფოს წასაყვანები გაუხადეს. მასპინძლებმა კი სამაგიერო კარგი თამაშით გადაუხადეს და ოთხი ლელო რომ აძგერეს და 31:5 დაწინაურდნენ, მერეღა მოუშვეს სადავეები.

**კოტე ყორშია**



„ოლ ბლექსის" ჰაკამ „მამლები" ამჯერადაც დააფრთხო

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:15 | 98 | კარლსრუე-ჰანზა | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 167 | მანტოვა-პიაჩენცა | 2.30 | 2.70 | 3.20 | 1.24 | 1.33 | 1.46 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 220 | ბრესტი-სტრასბური | 3.30 | 2.80 | 2.25 | 1.51 | 1.33 | 1.24 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 258 | ამადორა-ბელენენსეში | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:15 | 302 | სლავია-ბუდეიოვიცე | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 361 | რეალი-ლიონი | 2.00 | 3.10 | 3.70 | 1.21 | 1.29 | 1.68 |
| 22:45 | 362 | სტიაუა-დინამო კ | 1.75 | 3.50 | 4.30 | 1.16 | 1.24 | 1.92 |
| 22:45 | 363 | ბენფიკა-კოპენჰაგენი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 22:45 | 364 | სელტიკი-მანჩესტერი | 3.70 | 3.20 | 1.95 | 1.71 | 1.27 | 1.21 |
| 22:45 | 365 | არსენალი-ჰამბურგი | 1.25 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.53 |
| 22:45 | 366 | ცსკა-პორტუ | 2.00 | 3.00 | 3.80 | 1.20 | 1.31 | 1.67 |
| 22:45 | 367 | აეკ-მილანი | 5.10 | 3.40 | 1.65 | 2.03 | 1.24 | 1.11 |
| 22:45 | 368 | ლილი-ანდერლეხტი | 1.50 | 3.70 | 6.80 | 1.06 | 1.22 | 2.39 |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 369 | ვერდერი-ჩელსი | 2.50 | 3.00 | 2.80 | 1.36 | 1.32 | 1.44 |
| 22:45 | 370 | ლევსკი-ბარსელონა | 16.00 | 6.00 | 1.15 | 4.36 | 1.07 | 1.00 |
| 22:45 | 371 | ინტერი-სპორტინგი | 1.35 | 4.40 | 8.50 | 1.03 | 1.16 | 2.89 |
| 22:45 | 372 | სპარტაკი მ-ბაიერნი | 4.00 | 3.00 | 1.95 | 1.71 | 1.31 | 1.18 |
| 22:45 | 373 | ბორდო-გალათასარაი | 1.95 | 3.20 | 4.00 | 1.21 | 1.31 | 1.77 |
| 22:45 | 374 | ლივერპული-პსვ | 1.60 | 3.40 | 5.70 | 1.08 | 1.24 | 2.12 |
| 22:45 | 375 | შახტარი-რომა | 3.40 | 3.20 | 2.05 | 1.64 | 1.27 | 1.24 |
| 22:45 | 376 | ვალენსია-ოლიმპიაკოსი | 1.30 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.10 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# როცა რუნი ბრუნავს

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### XIII ტური

**ბლექბერნი 1:1 ტოტენჰემი**

1:0 თუგაი (23), 1:1 დეფო (62პ)

ბლექბერნი: ფრიდელი, გრეი, ანშო, ოიერი, ბენტლი (პეტერი 85), ემერტონი, თუგაი, პედერსენი, სევიჯი, მაკკარტი (ჯეფერსი 87), ნონდა (მოკოენა 65)

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

ტოტენჰემი: რობინსონი, ასუ-ეკოტო, დოუსონი, ჰადლსტოუნი, კინგი, ლი, დავიდსი (მალბრანკი 46), ჯალი, დეფო (ბერბატოვი 83), მიდო

მწვრთნელი: მარტინ იოლი

გაფრთხილება: მიდო

გაძევება: თუგაი (60), ჯალი (90)

მსაჯი: დოუდი

27 000 მაყურებელი

**შეფილდი 1:2 მანჩესტერი**

1:0 გილესპი (13), 1:1, 1:2 რუნი (30, 75)

შეფილდი: კენი, კოზლუკი, დევისი, იაგიელკა, გირი, გილესპი, ლოუ, ლიგერტვუდი, ა. ქუინი (კაბა 86), კაზიმ-რიჩარდსი (ნადე 79), ჰალსი

მწვრთნელი: ნილ უორნოკი

მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა (ჰაინცე 80), რონალდუ, კარიკი, სქოულზი, გიგზი, რუნი, საა

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: გილესპი, გიგზი

მსაჯი: კლატენბურგი

32 584 მაყურებელი

**ჩელსი 1:0 ვესტ ჰემი**

1:0 ჯერემი (22)

ჩელსი: კუდიჩინი, ჯერემი, რ. კარვალიუ (ბულარუზი 46), ტერი, ეშლი კოული, ესიენი, მაკელელე, ლამპარდი, რობენი (მიკელი 83), შევჩენკო (ჯ. კოული 68), დროგბა

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

ვესტ ჰემი: გრინი, სპექტორი, ე. ფერდინანდი, გაბიდონი, კონჩესკი, ტევესი, ბოიერი (შერინგემი 81), რეო-კოკერი, მალინსი, ეზერინგტონი (მაკკარტნი 81), ზამორა (ჰარვუდი 71)

მწვრთნელი: ალან პერდიუ

გაფრთხილება: ლამპარდი, გაბიდონი, რეო-კოკერი, მალინსი, ტევესი

მსაჯი: დინი

41 916 მაყურებელი

**არსენალი 1:1 ნიუკასლი**

0:1 დაიერი (30), 1:1 ანრი (70)

არსენალი: ლემანი, ებუე, ტურე, გალასი, კლიჩი, გლები, ფაბრეგასი, ჟულიო ბაპტისტა (უოლკოტი 64), ფლამინი, ვან პერსი (ანრი 46), ადებაიორი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ნიუკასლი: გივენი, ტეილორი, ბრამბლი, ჯ. მური (სიბიერსკი 89), რიმეიჯი, სოლანო (მილნერი 74), ბათი, პარკერი, დაფი (ნზოგბია 86), დაიერი, მარტინსი

მწვრთნელი: გლენ როედერი

გაფრთხილება: ფაბრეგასი, გალასი, დაფი, ტეილორი, ბრამბლი, გივენი, ნზოგბია

მსაჯი: ატკინსონი

60 058 მაყურებელი

**მიდლსბრო 0:0 ლივერპული**

მიდლსბრო: შვარცერი, დევისი (ჰუთი 46), ვუდგეიტი, პოგატეცი, ტეილორი, მორისონი (მაკარონე 77), ბოატენგი (კეტერმოლი 72), როჩემბაკი, იუელი, არკა, აიეგბენი

მოწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი

ლივერპული: ხ. რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, რიისე, პენანტი, ჯერარდი, ხაბი ალონსო, მ. გონსალესი (ზენდენი 84), კუ ჰი (კრაუჩი 79), ბელამი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

მსაჯი: მეისონი

31 424 მაყურებელი

**ევერტონი 1:0 ბოლტონი .**

1:0 არტეტა (60)

ევერტონი: ჰოვარდი, იობო, სტაბსი, ლესკოტი, ნუნო ვალენტე, ოსმანი, კარსლი, ფ. ნევილი, არტეტა, ე. ჯონსონი, ბიტი (ანიჩებე 76)

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ბენ ჰაიმი, მეიტე, პედერსენი, ტალი, კამპო (იანაკოპულოსი 83), სპიდი (ფეიე 90), დევისი (ვაზ ტე 90), ანელკა, დიუფი

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

გაფრთხილება: ნევილი, ანიჩებე, ჯონსონი

მსაჯი: რენიე

34 417 მაყურებელი

**პორტსმუთი 2:1 უოტფორდი**

0:1 დე მერიტი (32), 1:1 კანუ (44), 2:1 ლუა ლუა (89პ)

პორტსმუთი: ჯეიმსი, პამარო, პრიმუსი, ს. კემპბელი, სტეფანოვიჩი, ტომპსონი (ენდი კოული 63), დევისი, პ. მენდეში, კრანჩარი, კანუ, ლუა ლუა

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

უოტფორდი: ფოსტერი (ლი 46), დოილი, მაკეი, დე მერიტი, სტიუარტი, სმიტი, სპრინგი, მაჰოუნი, ბუაზა (პრისკინი 34), ჰენდერსონი (ჩამბერსი 78), იანგი

მწვრთნელი: ადრიან ბოთროიდი

გაფრთხილება: ტომპსონი, სტიუარტი, დე მერიტი, პრისკინი

მსაჯი: ფოი

19 738 მაყურებელი

**უიგანი 0:0 ასტონ ვილა**

უიგანი: კირკლანდი, ბოისი, ა. დე ზეუვი, ჯექსონი, შარნერი, რაიტი, კილბეინი, სკოკო (ლანძაატი 78), ტილი (კოტერილი 76), კამარა, მაკკალოხი

მწვრთნელი: პოლ ჯუელი

ასტონ ვილა: სორენსენი, ბერი, ბუმა, გ. კეჰილი, მელბერგი, ოსბურნი, რიდგუელი, უიტინგემი (აგატი 51), აგბონლაჰორი, ანხელი (დევისი 67), სატონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: ჯექსონი

მსაჯი: ბენეტი

18 455 მაყურებელი

**რედინგი 2:0 ჩარლტონი**

1:0 სეოლი (18), 2:0 დოილი (72)

რედინგი: ჰანემანი, მარტი, სონკო, ინგიმარსონი, შორი, ლიტლი (გუნარსონი 88), სიდუელი, ჰარპერი, ჰანტი, სეოლი (ოსტერი 88), დოილი (ლიტა 75)

მწვრთნელი: სტივ კოპელი

ჩარლტონი: კარსონი, იანგი, ელ კარკური, ფორჩუნი, ჰრეიდარსონი, რომედალი, ჰოლანდი, რიდი, ტომა (ამბროზი 57), დ. ბენტი, მ. ბენტი (სემი 79)

მწვრთნელი: ლეს რიდი

გაფრთხილება: ფორჩუნი, რომედალი, ჰრეიდარსონი

მსაჯი: პოლი

24 093 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 3:1 ფულემი**

1:0, 2:0 კორადი (12, 32), 3:0 ბარტონი (45), 3:1 ჯონი (62)

მანჩესტერ სიტი: ვივერი, რიჩარდსი, დანი, დისტინი, ტეტჩერი, ტრაბელსი (ონუა 89), კ. რეინა, ბარტონი, ვასელი, კორადი, სამარასი (დიკოვი 67)

მწვრთნელი: სტიუარტ პირსი

ფულემი: ნიემი, როსენიორი, ნაითი, პირსი, კედრუ, ვოლცი (რაძინსკი 74), ბოკანეგრა (ჯონი 46), დიოპი, ბოა მორტე, კ. იენსენი, მაკბრაიდი (ჰელგუსონი 46)

მწვრთნელი: კრის კოულმენი

გაფრთხილება: ტეტჩერი, ვოლცი

მსაჯი: ვაილი

35 776 მაყურებელი



„მანჩესტერმა" შეფილდში უეინ რუნის დუბლით მოიგო

### „მანჩესტერ იუნაიტედი"

მთელი მატჩის მანძილზე სჯობდა აუტსაიდერ „შეფილდ იუნაიტედს", მაგრამ მოგება მაინც გაუჭირდა. მასპინძლები მე-13 წუთზე კევინ გილესპის თავურით დაწინაურდნენ, მაგრამ კვლავ გაიბრწყინა „წითელი ეშმაკების" ლიდერმა უეინ რუნიმ, რომელმაც ორი მშვენიერი გოლი შეაგდო, პირველად გარი ნევილის, მეორედ კი პატრის ევრას პასით. მანჩესტერელთა ყველა მომენტის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მხოლოდ ის ვახსენოთ, რომ კრიშტიანუ რონალდუმ ხარიხას გაარტყა ბურთი, ხოლო ერთხელ 3-4 მეტრიდან გადააცილა კარს.

„რუნიმ ორი ბრწყინვალე ბურთი გაიტანა და კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ნელ-ნელა ფორმაში შედის, ეს კი ბევრს ნიშნავს. მეტოქემ დიდი ბრძოლა გაგვიჩალა, მაგრამ ჭკვიანურად და სწრაფად ვითამაშეთ. მთავარია, „ჩელსისთან" სამქულიანი უპირატესობა შევინარჩუნეთ" — განაცხადა „მანჩესტერის" მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა.

ალბათ, ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ „სტემფორდ ბრიჯზე" 22-ე წუთზე დანიშნულ ჯარიმას ჯერემი შეასრულებდა, მაგრამ... კამერუნელმა ისეთი გაისროლა, რობერტ გრინი უშანსოდ დატოვა და „ჩელსიმაც" სწორედ ამ გოლით მოუგო ლონდონური დერბი „ვესტ ჰემს". „ჩაქუჩებს", ცოტა რომ გამართლებოდათ, ეგებ ქულებიც აერთმიათ ჟოზე მაურინიუს გუნდისთვის, მაგრამ...

„მთლიანობაში კმაყოფილი ვარ, საკმაოდ ბევრი საგოლე მომენტი გვქონდა და დამსახურებულად მოვიგეთ. მეტოქემ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია. „ვესტ ჰემი" ჩინებული გუნდია, დიდი პოტენციალი აქვს და გაცილებით მაღალ ადგილზე ყოფნას იმსახურებს" — თქვა ნამატჩევს მაურინიუმ.

„ვესტ ჰემის" მწვრთნელი ალან პერდიუ: „ცუდად არ გვითამაშია და ქულის მოპოვება თავისუფლად შეგვეძლო. დავამტკიცეთ, რომ „ჩელსის" დარ ბრწყინვალე გუნდთანაც კი არ ვიხევთ უკან და ღირსეულად ვიბრძვით. მთავარია, ასე გავაგრძელოთ".

„არსენალს" კიდევ ერთხელ დაუცდა ფეხი და ჩემპიონობის შანსები გვარიანად შეიმცირა. „მეთოფეებმა" საკუთარ კედლებში აუტსაიდერი „ნიუკასლი" ვერ დაჯაბნეს. ეს ფრე მისწრება იყო „კაჭკაჭების" მწვრთნელ გლენ როედერისთვის, ვინც მოხსნის პირზე გახლდათ.

„ნიუკასლი" ტრავმის გამო შვიდთვიანი პაუზის შემდეგ მინდორზე დაბრუნებულმა კირონ დაიერმა ობაფემი მარტინსის პასით დააწინაურა. ბრწყინვალედ თამაშობდა ასევე ტრავმამოშუშებული „ჯორდების" ვეტერანი მეკარე შეი გივენი, რომელმაც რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია. „არსენალი" კვლავ ტიერი ანრიმ იხსნა. ფრანგი მოედანზე მეორე ტაიმში რობინ ვან პერსის ნაცვლად შევიდა და ლამაზი ჯარიმაც გაიტანა. მას კარგი შანსი ბოლო წუთებზეც ჰქონდა, მაგრამ არ გაუმართლა.

„მეტოქემ კარგად ითამაშა, განსაკუთრებით დაცვაში, თუმც გაშვებული გოლის მერე მშვენივრად გამოვიყურებოდით და ბევრი მომენტიც გვქონდა. დიდი პოტენციალი გვაქვს, მაგრამ რამდენიმე სათამაშო რგოლში ჯერ კიდევ უნდა დავიხვეწოთ" — აღნიშნა „მეთოფეთა" თავკაცმა არსენ ვენგერმა.

რაფაელ ბენიტესის „ლივერპული" წლეულს გასვლითი მატჩის მოგებას ვერ ახერხებს. მერსისაიდელები „მიდლსბროსთან" უპირატესობას კი ფლობდნენ და უამრავი მომენტიც ჰქონდათ, მაგრამ შეხვედრა მაინც უგოლოდ დასრულდა.

მეორე ლივერპულურმა კლუბმა „ევერტონმა" კი „ბოლტონს" მიკელ არტეტას ბრწყინვალე გოლით მოუგო. არტეტამ ჩინებულ გარღვევას შორეული, ლამაზი დარტყმა მოაყოლა და სტუმართა ფინელი მეკარე ჯუსი იასკელაინენი ვერაფერს გახდა.

**გიორგი ძაძამიძე**

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დროგბა (ჩელსი) | 8 |
| კანუ (პორტსმუთი) | 8 |
| რუნი (მანჩესტერი) | 7 |
| ე. ჯონსონი (ევერტონი) | 6 |
| დ. ბენტი (ჩარლტონი) | 6 |
| ანრი (არსენალი) | 6 |
| კ. დოილი (რედინგი) | 6 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 13 | 11 | 1 | 1 | 29:6 | 34 |
| ჩელსი | 13 | 10 | 1 | 2 | 23:7 | 31 |
| პორტსმუთი | 13 | 7 | 2 | 4 | 19:13 | 23 |
| არსენალი | 12 | 6 | 4 | 2 | 20:7 | 22 |
| ასტონ ვილა | 13 | 5 | 7 | 1 | 15:9 | 22 |
| ბოლტონი | 13 | 6 | 3 | 4 | 12:12 | 21 |
| ევერტონი | 13 | 5 | 5 | 3 | 17:11 | 20 |
| რედინგი | 13 | 6 | 1 | 6 | 15:18 | 19 |
| უიგანი | 12 | 5 | 3 | 4 | 16:13 | 18 |
| ლივერპული | 13 | 5 | 3 | 5 | 14:15 | 18 |
| ფულემი | 13 | 4 | 5 | 4 | 14:19 | 17 |
| სიტი | 13 | 4 | 4 | 5 | 10:15 | 16 |
| ტოტენჰემი | 13 | 4 | 4 | 5 | 10:15 | 16 |
| მიდლსბრო | 13 | 4 | 3 | 6 | 10:16 | 15 |
| ბლექბერნი | 13 | 3 | 4 | 6 | 11:17 | 13 |
| ვესტ ჰემი | 13 | 3 | 2 | 8 | 9:16 | 11 |
| ნიუკასლი | 13 | 2 | 4 | 7 | 8:15 | 10 |
| შეფილდი | 13 | 2 | 4 | 7 | 8:18 | 10 |
| უოტფორდი | 13 | 1 | 6 | 6 | 10:19 | 9 |
| ჩარლტონი | 13 | 2 | 2 | 9 | 9:20 | 8 |

**XIV ტური**

25-26 ნოემბერი

ვესტ ჰემი : შეფილდი
ასტონ ვილა : მიდლსბრო
ბოლტონი : არსენალი
ჩარლტონი : ევერტონი
ფულემი : რედინგი
ლივერპული : სიტი
მანჩესტერი : ჩელსი
ნიუკასლი : პორტსმუთი
ტოტენჰემი : უიგანი
უოტფორდი : ბლექბერნი

**ჩემპიონატი**

**XVIII ტური**

კარდიფი — ქუინზ პარკი 0:1; ბირმინგემი — ვულვზი 1:1; ქოვენთრი — უენსდი 3:1; კრ. პალასი — ბარნსლი 2:0; ჰალი — სტოკი 0:2; ლიდსი — საუთჰემპტონი 0:3; ლესტერი — პრესტონი 0:1; ლუთონი — დერბი 0:2; საუთენდი — პლიმუთი 1:1; სანდერლენდი — კოლჩესტერი 3:1; ვესტ ბრომვიჩი — ბარნლი 3:0; იფსვიჩი — ნორვიჩი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პრესტონი | 18 | 10 | 6 | 2 | 30:16 | 36 |
| კარდიფი | 18 | 10 | 4 | 4 | 30:17 | 34 |
| ბირმინგემი | 18 | 10 | 4 | 4 | 24:16 | 34 |
| ბარნლი | 18 | 9 | 4 | 5 | 26:18 | 31 |
| დერბი | 18 | 9 | 4 | 5 | 28:23 | 31 |
| ვესტ ბრომვიჩი | 18 | 8 | 5 | 5 | 31:19 | 29 |
| სტოკი | 18 | 7 | 6 | 5 | 25:15 | 27 |
| საუთჰემპტონი | 18 | 7 | 6 | 5 | 24:18 | 27 |
| პლიმუთი | 18 | 6 | 9 | 3 | 25:20 | 27 |
| ვულვზი | 18 | 8 | 3 | 7 | 16:21 | 27 |
| ქოვენთრი | 18 | 8 | 1 | 9 | 18:17 | 25 |
| ნორვიჩი | 18 | 7 | 4 | 7 | 24:30 | 25 |
| იფსვიჩი | 18 | 7 | 3 | 8 | 29:27 | 24 |
| კოლჩესტერი | 18 | 7 | 3 | 8 | 25:24 | 24 |
| ქუინზ პარკი | 18 | 6 | 6 | 6 | 30:30 | 24 |
| სანდერლენდი | 18 | 7 | 2 | 9 | 24:25 | 23 |
| უენსდი | 18 | 6 | 5 | 7 | 21:25 | 23 |
| ლესტერი | 18 | 5 | 7 | 6 | 18:20 | 22 |
| ლუთონი | 18 | 6 | 4 | 8 | 25:33 | 22 |
| კრ. პალასი | 18 | 6 | 3 | 9 | 21:25 | 21 |
| ლიდსი | 18 | 5 | 2 | 11 | 19:35 | 17 |
| ჰალი | 18 | 4 | 4 | 10 | 14:23 | 16 |
| ბარნსლი | 18 | 4 | 3 | 11 | 22:36 | 15 |
| საუთენდი | 18 | 2 | 6 | 10 | 16:32 | 12 |

**პირველი ლიგა**

**XVIII ტური**

ბლეკპული — ჰადერსფილდი 3:1; ბორნმუთი — კარლაილი 0:1; ბრენტფორდი — ქრიუ 0:4; ბრაიტონი — ტრანმერი 0:1; ბრისტოლი — ჯილინგემი 3:1; ჩესტერფილდი — ჩელტენემი 1:0; ლეიტონი — იოვილი 0:0; მილუოლი — დონკასტერი 2:2; ოლდემი — ბრედფორდი 2:0; პორტ ვეილი — სუონსი 0:2; როტერჰემი — ნოტინგემი 1:1; სკანთორპი — ნორთჰემპტონი 1:0

**მეორე ლიგა**

**XVIII ტური**

ჩესტერი — სტოკპორტი 1:1; აკრინგტონი — ჰარტლპული 1:2; ბარნეტი — როჩდეილი 3:2; ბერი — როვერსი 0:2; ჰერეფორდი — უოლსოლი 0:1; ლინკოლნი — დარლინგტონი 1:3; მაკლსფილდი — ბოსტონი 2:3; მენსფილდი — პიტერბრო 0:2; დონსი — შრუსბერი 2:0; ნოტსი — რექსემი 2:1; ტორკი — სუინდონი 0:1; უიკომბი — გრიმსბი 1:1

**კონფერენსლიგა**

**XIX ტური**

ალდერშოტი — სოთპორტი 2:0; ალტრინჩემი — ქროული 1:1; კემბრიჯი — მორეკემბი 1:3; დაგენემი — ბარტონი 3:0; ექსეტერი — კიდერმინსტერი 1:1; ფორესტ გრინი — ნორსვიჩი 0:1; გრეივსენდი — ოქსფორდი 1:0; ჰალიფაქსი — სტაფორდი 3:1; სენტ ალბანსი — რაშდენი 3:2; სტივენიჯი — გრეისი 1:0; ტემუორთი — უოქინგი 3:1; ვეიმუთი — იორკი 1:2

## გერმანია
### ბუნდესლიგა XIII ტური

**კოტბუსი 2:4 შალკე**
0:1 ჰამიტ ალტინტოპი (4), 2:0 კურანი (15), 1:2, 2:2 რადუ (28, 31), 2:3 პანდერი (51), 2:4 კობიაშვილი (84)
კოტბუსი: პიპლიცა, შელესი, მაკკენა, მიტრეკი, ციბიგი, ტ. როსტი (და სილვა 80), კუკიელკა, რადუ, შაო (ბაუმგარტი 66), მუნტიანუ, კიოიო (გუნკელი 76)
მწვრთნელი: პეტრიკ სანდერი
შალკე: ნოიერი, რაფინია, დ. როდრიგესი, კრსტაიჩი, პანდერი (ბოენიში 78), ბაირამოვიჩი, ჰამიტ ალტინტოპი, კობიაშვილი, ჰალილ ალტინტოპი (ფ. ერნსტი 55), ლოვენკრანდსი (ჰეპკე 90), კურანი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
გაფრთხილება: კუკიელკა
მსაჯი: ფანდელი
20 000 მაყურებელი

**ბაიერნი 2:1 შტუტგარტი**
0:1 გომესი (8), 1:1 მაკაი (27), 2:1 პიზარო (36)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ლამი, ოტლი, ვან ბომელი, სალიჰამიჯიჩი, შვაინშტაიგერი (ლელი 72), მაკაი (დაისლერი 90), კ. პიზარო (სანტა კრუზი 89)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰიბერტი, ტასკი, დელპიერი, ბოკა, პარდო, გენტნერი (ფ. მეირა 54), ხედირა (ბიროფკა 62), და სილვა (შტრელერი 79), კაკაუ, გომესი
მწვრთნელი: არმინ ფეე
გაფრთხილება: ვან ბომელი, პარდო, კაკაუ
მსაჯი: ვაინერი
69 000 მაყურებელი

**ალემანია 2:2 ვერდერი**
1:0 როსლერი (34), 1:1 მერტესაკერი (48), 2:1 შლაუდრაფი (68), 2:2 კლოზე (79)
ალემანია: ნიხტი, ს. პინტო, კლიცპერა, სიხონე, ლეივაკაბესი, პლასენრიხი, მ. ლემანი, რეგეკამპფი (ებერსი 72), ფაილი, როსლერი, შლაუდრაფი
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
ვერდერი: ვიზე, კ. ფრიცი, მერტესაკერი, ნალდო, ვომე, ფრინგსი, ვრანიეში (დ. იენსენი 46), ბოროვსკი (უგო ალმეიდა 70), დიეგო, კლოზე, შუნტი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ვრანიეში, ფრინგსი, დიეგო
მსაჯი: მერკი
20 800 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:2 ჰერტა**
0:1 შმიდტი (10), 0:2 ჟილბერტო (16), 1:2 ფრაი (23პ)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, კრინგე, ამედიკი, ვოორნსი, დედე, კრუშკა (პიენაარი 78), ტინგა, ნ. საჰინი (ბრჟენსკა 87), ნ. ვალდესი, ფრაი, შმოლარეკი (ამოა 71)
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, ვან ბურიკი, შიმუნიჩი, ფატი, ა. შმიდტი, დეჯაგაჰი (კაირო 78), ჩაჰედი, ედე (ნოინდორფი 86), ჟილბერტო, პანტელიჩი (სამბა 72)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: ფატი
მსაჯი: კირხერი
70 000 მაყურებელი

**ნიურნბერგი 3:2 ლევერკუზენი**
0:1 მადუნი (8), 1:1 ვიტეკი (12), 2:1 შროტი (48), 2:2 პაულუსი (69პ.კ), 3:2 საენკო (85)
ნიურნბერგი: რ. შეფერი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, გლაუბერი (თ. პაულუსი 61), პინოლა, გალაშეკი (პოლაკი 84), კრისტიანსენი, მნარი, ვიტეკი, შროტი (ბენკო 73), საენკო
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
ლევერკუზენი: ბუტი, შვეგლერი, მადუნი, ჟუანი, კასტრო (დე ვიტი 87), რამელო (როლფსი 62), ფრაიერი (ატირსონი 62), ბარბარესი, ბარნეტა, კისლინგი, ვორონინი
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: პინოლა, შვეგლერი, გლაუბერი, რამელო, რაინჰარდტი, ბარნეტა
მსაჯი: შმიდტი
37 143 მაყურებელი

**ბოხუმი 4:3 აინტრახტი**
0:1, 0:2 შტრაიტი (1, 5), 1:2 მისიმოვიჩი (29პ), 2:2 მალტრიცი (33), 3:2 ბუტჩერი (36), 4:2 გეკასი (46), 4:3 ამანატიდისი (56)
ბოხუმი: სკოვ-იენსენი, ბ. ლენსე, დრშეკი, ბუტჩერი, პ. ბიონიგი, მალტრიცი (მაიხელბეკი 90), ცდებელი, ო. შრიოდერი, ტროიანი (გროტე 82), მისიმოვიჩი, გეკასი (ვან ჰუტი 90)
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
აინტრახტი: ნიკოლოვი, პ. ოხსი, რუსი, ვასოსკი, შპიხერი, მ. ფინკი (ტურკი 76), ჰუგელი, ა. შტრაიტი, ა. მეიერი, ტაკაჰარა (კირიაკოსი 34), ამანატიდისი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაძევება: ვასოსკი (28)
მსაჯი: გაგელმანი
21 260 მაყურებელი

**მაინცი 0:0 ჰამბურგი**
მაინცი: ვახე, დემირტასი, მ. ფრიდრიხი, ნოვეკი, ვაიგელტი, აზაუაგი (ფ. გერბერი 90), პეკოვიჩი, ბაბაცი, ფოილნერი, საბიჩი (ამრი 88), ედუ (იოვანოვიჩი 53)
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
ჰამბურგი: ვეხტერი, კლინგბილი (ფილინგერი 46), ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ატუბა, ვიკი, იაროლიმი, ტროხოვსკი, ვან დერ ვაარტი, სანოგო, ლიუბოია (ბერიშა 72)
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: პეკოვიჩი, კლინგბილი, აზაუაგი, იაროლიმი, ტროხოვსკი
მსაჯი: ფლაიშერი
20 300 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 0:1 ჰანოვერი**
0:1 ბალიტჩი (50)
მიონხენგლადბახი: კელერი, ჰელვეგი (ინსუა 74), ბ. სვენსონი, ზე ანტონიო, კომპერი, პოლანსკი, კლუგე, დელურა (დ. დეგენი 67), რაფაელი, ნოივილი (კაჰე 46), სონკი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, ზურავი, ტარნატი, იანკოვი (ლალა 79), ბალიტჩი, ჰუშტი, ბრუგინკი (ფარენჰორსტი 87), შრიოტერი (კ. ანდერსონი 90), შტაინერი
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
გაფრთხილება: იანკოვი, შრიოტერი, ვინისიუსი, ტარნატი, ენკე
მსაჯი: შტარკი
39 670 მაყურებელი

**არმინია 0:0 ვოლფსბურგი**
არმინია: ჰაინი, კორჟინეცი, ვესტერმანი, გაბრიელი, შულერი, კაუფი, კუჩერა, კამპერი (დ. კობილიტი 46), ბიომე (მ. ნდჯენგი 79), ზუმა (აიგლერი 87), ვიშნიარეკი
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
ვოლფსბურგი: იენჩი, მიორლე, კიროგა, ჰოფლანდი, შარპეი, ვან დერ ლეეგტე, სანტანა (ხრისტოვი 63), მაკიადი, კრჟინოვეკი, ბოაკიე (მენსეგეში 71), ჰანკე (ლამპრეხტი 85)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: ვან დერ ლეეგტე, ხრისტოვი
მსაჯი: ბრიხი
22 651 მაყურებელი

# ამ ხუმრობა-ხუმრობაში ხუმარები არ ხუმრობენ



ლევან კობიაშვილმა ზოლტან შელესის „კოტბუსიც“ არ დაინდო

**ბუნდესლიგის** მე-13 უხვგოლიან ტურში ბევრი საინტერესო მოხდა. დავიწყოთ „ალიანს არენაზე“ გამართული ცენტრალური მატჩით, რომელშიც მიუნხენის „ბაიერნმა“ „შტუტგარტს“ წარმატებული სერია შეუწყვიტა და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

არადა, არმინ ფეეს გუნდისთვის ყველაფერი კარგად დაიწყო: მე-8 წუთზე მარიო გომესმა სეზონში თავისი მერვე გოლი გაიტანა, მან კრისტიან გენტნერის პასის შემდეგ სამი მცველი ჩამოიშორა და ანგარიში გახსნა. ამან „ბაიერნი“ გამოაღვიძა და მიუნხენელებმა ინიციატივა ხელთ იგდეს. როი მაკაიმ ფილიპ ლამის ჩაწოდებულს თავი შეაგება და ანგარიში გაათანაბრა. აქედან ათ წუთში კი მარტინ დემიკელისმა მარკ ვან ბომელის კროსი ჭკვიანურად გაატარა და კლაუდიო პიზარომაც ცარიელ კარში იოლად გადაგზავნა ბურთი. რა თქმა უნდა, მომენტები ამის მერეც იყო, მაგრამ არაფერი შეცვლილა და შეიძლება ითქვას, „ბაიერნმა“ დამსახურებულად იმარჯვა.

„ვითარება საგრძნობლად გამოვასწორეთ, ახლა ლიდერებს კუდზე ვაზივართ. „შტუტგარტმა“ დაამტკიცა, რომ აქამდე პირველ ადგილზე შემთხვევით არ იყო, თუმც ძლიერი მეტოქის დამარცხება მაინც შევძელით და კმაყოფილები ვართ“ — აღნიშნა „ბაიერნის“ მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა.

არმინ ფეე: „კარგად დავიწყეთ, მაგრამ გოლის გატანის შემდეგ უპირატესობა „ბაიერნს“ დავუთმეთ. ძალიან პასიურები ვიყავით და მეტოქეს სივრცეს ვაძლევდით. მიუნხენელებმა დამსახურებულად მოიგეს“.

პირველი ადგილის დაბრუნების შანსი ჰქონდა „ვერდერს“, თუმც ბრემენელებმა ისევ წაიბორძიკეს. თომას შააფის გუნდი ორჯერ აგებდა „ალემანიასთან“, მაგრამ პერ მერტესაკერისა და მიროსლავ კლოზეს გოლებით ქულის გადარჩენა შეძლო.

ლიდერად კი „შალკე“ იქცა. „ხუმარები“ მე-15 წუთისთვის უკვე 2:0-ს უგებდნენ „კოტბუსს“, თუმც მარიან რადუმ სამწუთიან მონაკვეთში ორჯერ შეაგდო და ტაიმიც 2:2 დასრულდა. მეორე ნახევრის დებიუტში კრისტიან პანდერმა ისევ წინ გაიყვანა სტუმრები, ხოლო 84-ე წუთზე წერტილი ლევან კობიაშვილმა დასვა.

„ნიურნბერგთან“ გასვლით მატჩში აჰმედ რედა მადუნიმ დებიუტშივე დააწინაურა „ლევერკუზენი“. რობერტ ვიტეკმა მალევე გაათანაბრა, ხოლო მარკუს შროტმა 48-ე წუთზე უკვე მასპინძლები გაიყვანა წინ. იმავე მადუნიმ ანგარიში კი გაათანაბრა, მაგრამ მატჩის მიწურულს ივან საენკომ მაინც მოაგებინა „ნიურნბერგს“, რომელსაც ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდი მარეკ მინტალი დაუშავდა და იგი წლის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

„ჰერტამ“ ორი გოლი დებიუტში გაუტანა „დორტმუნდს“ და საბოლოოდ მნიშვნელოვანი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში. მასპინძლებმა მეტოქეს ოდენ ალექსანდრ ფრაის პენალტით უპასუხეს. ხოლო „მაინცისა“ და „ჰამბურგის“ უსახური შეხვედრა უგოლოდ დასრულდა.

პარასკევს ტური „ბოხუმისა“ და „აინტრახტის“ უხვგოლიანი თრილერით გაიხსნა. ფრანკფურტელები მე-5 წუთზე ალბერტ შტრაიტის წყვილი გოლით უგებდნენ მასპინძლებს, მაგრამ მათი საქმე 28-ე წუთზე აირია, როცა ალექსანდრ ვასოსკიმ წითელი ბარათი და პენალტი „აიკიდა“. 47-ე წუთზე ანგარიში უკვე 4:2 იყო. იოანის ამანატიდისმა სხვაობა კი შეამცირა, მაგრამ ათკაციანმა სტუმრებმა მეტი ვეღარ შეძლეს. ამ გამარჯვებით „ბოხუმმა“ ცხრილის ფსკერს დააღწია თავი.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შალკე | 13 | 8 | 2 | 3 | 23:15 | 26 |
| ვერდერი | 13 | 7 | 3 | 3 | 33:18 | 24 |
| შტუტგარტი | 13 | 7 | 3 | 3 | 26:19 | 24 |
| ბაიერნი | 13 | 7 | 2 | 4 | 21:16 | 23 |
| ჰერტა | 13 | 5 | 6 | 2 | 23:18 | 21 |
| არმინია | 13 | 5 | 5 | 3 | 22:14 | 20 |
| დორტმუნდი | 13 | 4 | 6 | 3 | 17:15 | 18 |
| ვოლფსბურგი | 13 | 4 | 6 | 3 | 9:10 | 18 |
| ნიურნბერგი | 13 | 3 | 8 | 2 | 17:14 | 17 |
| კოტბუსი | 13 | 4 | 4 | 5 | 16:18 | 16 |
| აინტრახტი | 13 | 3 | 7 | 3 | 16:18 | 16 |
| ლევერკუზენი | 13 | 4 | 3 | 6 | 21:21 | 15 |
| ალემანია | 13 | 4 | 3 | 6 | 20:24 | 15 |
| გლადბახი | 13 | 4 | 1 | 8 | 11:18 | 13 |
| ჰანოვერი | 13 | 3 | 4 | 6 | 12:22 | 13 |
| ბოხუმი | 13 | 3 | 3 | 7 | 17:26 | 12 |
| ჰამბურგი | 13 | 1 | 8 | 4 | 11:15 | 11 |
| მაინცი | 13 | 1 | 6 | 6 | 10:24 | 9 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| პანტელიჩი (ჰერტა) | 8 |
| გომესი (შტუტგარტი) | 8 |
| მაკაი (ბაიერნი) | 7 |
| კლოზე (ვერდერი) | 6 |
| დიეგო (ვერდერი) | 6 |

### XIV ტური
25-26 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| შალკე | : | ბოხუმი |
| ლევერკუზენი | : | კოტბუსი |
| ჰერტა | : | ალემანია |
| შტუტგარტი | : | გლადბახი |
| ჰანოვერი | : | მაინცი |
| აინტრახტი | : | დორტმუნდი |
| ვოლფსბურგი | : | ნიურნბერგი |
| ვერდერი | : | არმინია |
| ჰამბურგი | : | ბაიერნი |

### მეორე ბუნდესლიგა
XIII ტური

ბრაუნშვაიგი — დუისბურგი 1:1; კარლ ცაისი — ფრაიბურგი 2:1; ოფენბახი — კაიზერსლაუტერნი 0:1; კიოლნი — მიუნხენი 1:2; აუგსბურგი — ბურგჰაუზენი 1:0; კობლენცი — უნტერჰახინგი 0:0; პადერბორნი — ფიურტი 0:0; ესენი — აუე 0:1. კარლსრუე — ჰანზა დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 12 | 8 | 4 | 0 | 30:12 | 28 |
| ჰანზა | 12 | 8 | 4 | 0 | 20:6 | 28 |
| ლაუტერნი | 13 | 7 | 3 | 3 | 22:14 | 24 |
| დუისბურგი | 13 | 5 | 7 | 1 | 22:14 | 22 |
| მიუნხენი | 13 | 6 | 3 | 4 | 15:13 | 21 |
| აუე | 13 | 6 | 2 | 5 | 19:19 | 20 |
| კობლენცი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:15 | 19 |
| აუგსბურგი | 13 | 5 | 4 | 4 | 13:12 | 19 |
| ფიურტი | 13 | 4 | 5 | 4 | 22:18 | 17 |
| კიოლნი | 13 | 4 | 4 | 5 | 19:16 | 16 |
| პადერბორნი | 13 | 4 | 4 | 5 | 11:14 | 16 |
| ფრაიბურგი | 13 | 3 | 6 | 4 | 14:16 | 15 |
| კარლ ცაისი | 13 | 3 | 6 | 4 | 1825 | 15 |
| უნტერჰახინგი | 13 | 3 | 5 | 5 | 10:13 | 14 |
| ბურგჰაუზენი | 13 | 3 | 2 | 8 | 12:27 | 11 |
| ოფენბახი | 13 | 2 | 4 | 7 | 11:20 | 10 |
| ესენი | 13 | 2 | 3 | 8 | 12:17 | 9 |
| ბრაუნშვაიგი | 13 | 1 | 4 | 8 | 8:24 | 7 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XVII ტური

ზანქტ პაული — ერფურტი 1:1; ლევერკუზენი (მ) — მაგდებურგი 1:1; კილი — ოსნაბრიუკი 2:0; ემდენი — დინამო 1:0; მიონხენგლადბახი (მ) — ალენი 2:2; უნიონი — დორტმუნდი (მ) 2:0; ვილჰელმშავენი — ვუპერტალი 2:1; ჰამბურგი (მ) — დიუსელდორფი 1:1; ჰერტა (მ) — ლიუბეკი 1:0

### სამხრეთ რეგიონალლიგა
XVII ტური

მიუნხენი (მ) — ჰესენი 3:0; როიტლინგენი — კარლსრუე (მ) 3:1; ზაარბრიუკენი — შტუტგარტი (მ) 3:2; ზიგენი — კაიზერსლაუტერნი (მ) 2:1; დარმშტადტი — ბაიერნი (მ) 2:2; პირმასენსი — აალენი 0:2; პფულენდორფი — ინგოლშტადტი 2:2; კოკერსი — ელვერსბერგი 2:0; ვეჰენი — ჰოფენჰაიმი 2:1

## იტალია
### სერია A
### XII ტური

**ემპოლი 0:0 მილანი**

ემპოლი: ბალი, რაჯი, მარცორატი (ადანი 68), ვანილი, ლუკინი, მარიანინი, დ. მორო, ბუშე, ვანუკი, მატეინი (ფიჩინი 81), საუდატი (პოცი 67)
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
მილანი: დიდა, კაფუ, კოსტაკურტა, მალდინი, იანკულოვსკი, ბროკი, პირლო (გურკუფი 69), ზეედორფი, კაკა, ჯილარდინო (ფ. ინძაგი 59), რ. ოლივეირა (ბორიელო 78)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: კოსტაკურტა, პირლო, მორო, ბროკი, ბალი
მსაჯი: ტალიავენტო
9 000 მაყურებელი

**ინტერი 1:0 რეჯინა**

1:0 კრესპო (4)
ინტერი: ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, კორდობა, სამუელი, ბურდისო, ფიგუ (დაკური 74), ვიეირა, სტანკოვიჩი, სოლარი (მაიკონი 54), კრესპო, ხ. კრუზი (ადრიანო 52)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
რეჯინა: პელიცოლი, ლანძარო, ჯიოზა, არონიკა, მესტო, ამერინი (ნიელსენი 87), ტონოცი (კარობიო 81), მოდესტო, ლეონი, მისიროლი (რიოსი 62), ბიანკი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: სამუელი, ბურდისო, არონიკა, მესტო, რიოსი
მსაჯი: როკი
40 000 მაყურებელი

**კალიარი 1:0 პალერმო**

1:0 პეპე (90)
კალიარი: კიმენტი, ფერი, დ. ლოპესი, ბიანკო, აგოსტინი (დელ გროსო 79), ბიონდინი, კონტი, ბუდელი (კაპონე 68), ლანჯელა (პეპე 70), სუაცო, მ. ესპოზიტო
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
პალერმო: ა. ფონტანა, ძაკარდო, ბარძალი, მ. პიზანო, ჯოვანი ტედესკო (ბოვო 68), კასანი, გუანა, სიმპლისიო, ბრეშიანო (კარაჩოლო 90), ბრიენცა (პარავიჩინი 46), ამაური
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ბიონდინი, ძაკარდო, პარავიჩინი, კასანი, კონტი
გაძევება: სიმპლისიო (44)
მსაჯი: ბერტინი
18 000 მაყურებელი

**რომა 7:0 კატანია**

1:0 პანუჩი (12), 2:0 მანსინი (19), 3:0, 4:0 პეროტა (24, 40), 5:0 პანუჩი (48), 6:0 მონტელა (59), 7:0 ტოტი (70)
რომა: ა. დონი, კასეტი, ფერარი, კივუ, პანუჩი, დე როსი (აკვილანი 50), დ. პიზარო, ტადეი, პეროტა (მონტელა 50), მანსინი (ვუჩინიჩი 75), ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
კატანია: პანტანელი, სარდო, სტოვინი, სოტილი, ხ. ვარგასი, ბაიოკო, ედუსეი, კაზერტა (ლუჩენტი 73), ჯ. კოლუჩი (ბიზო 46), კორინი (დელ კორე 81), მასკარა
მწვრთნელი: პასკუალე მარინო
გაფრთხილება: მანსინი, სტოვინი, ბაიოკო, ბაიოკო
გაძევება: მასკარა (15), ბაიოკო (89)
მსაჯი: გირარდი
32 000 მაყურებელი

**ლივორნო 3:0 პარმა**

1:0 პფერცელი (26), 2:0 ფერონეტი (71ს.კ.), 3:0 ლუკარელი (82)
ლივორნო: ამელია, გრანდონი, კუფური, გალანტე, პფერცელი (ვიჯანი 84), მორიონე, პასონი, ა. ფილიპინი, პასკუალე (ბალერი 70), პაულინიუ (კ. ლუკარელი 59), ბაკაიოკო
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
პარმა: დე ლუჩია, კოლი (ფერონეტი 46), ფ. კოუტუ, მ. როსი, ბოკეტი, ბოლანო, კარამიტარო, პიზანუ (დესენა 90), მორფეო (გაბარინი 20), მუსლიმოვიჩი, ბუდანი
მწვრთნელი: სტეფანო პიოლი
გაფრთხილება: ბოკეტი, კოუტუ, კოლი
გაძევება: ბუდანი (51)
მსაჯი: რომეო
8 000 მაყურებელი

**კიევო 2:2 ატალანტა**

1:0 ძანკეტა (25), 2:0 პელისიერი (57), 2:1 ძამპანა (72), 2:2 ლორია (74)
კიევო: სიჩინიანო, მალაგო, მანდელი, დანა, ლანა, მარკეზეტი (კოსოვსკი 50), ბრიგი, სამარკო, ძანკეტა, პელისიერი (მარკოლინი 70), ობინია
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ატალანტა: კალდერონი, ადრიანუ, რივალტა, ლორია, არიატი, ბომბარდინი (სონჩინი 62), მილიაჩო, ბერნარდინი (ფერეირა პინტუ 70), დონატი, კ. დონი, ვენტოლა (ძამპანა 55)
მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო
გაფრთხილება: დანა, დონატი, დონი, ლორია, ადრიანუ, ძამპანა
მსაჯი: სტეფანინი
6 000 მაყურებელი

**უდინეზე 3:0 სიენა**

1:0 გიანი (19), 2:0, 3:0 იაკინტა (44პ, 79)
უდინეზე: დე სანქტისი, დ. ძენონი, ნატალი, კოდა, დოსენა, დე მარტინო, ობოდო (სიკეირა 90), პინცი, მუნტარი, იაკინტა (მონტიელი 90), გიანი (გ. დაგოსტინო 60)
მწვრთნელი: ჯოვანი გალეონე
სიენა: მანინგერი, ბერტოტო, გასტალდელო, რინაუდო, მოლინარო (კოდრია 46), კონკო, ბრევი, ვერგასოლა, კანდელა (ბოგდანი 46), ლოკატელი (დავერსა 75), კორვია
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: მანინგერი, რინაუდო, პინცი, კოდრია
მსაჯი: ფარინა
15 000 მაყურებელი

**მესინა 1:4 ლაციო**

0:1 მაური (10), 1:1 რიგანო (57პ), 1:2 პანდევი (59), 1:3 მაური (82), 1:4 მაკინვა (84)
მესინა: სტორარი, ზორო კპოლო, იულიანო, მორელო, პარიზი, დე ვეცა კ. კოპოლა (ლავეკია 65), კორდოვა, მასიელო (ილიევი 70), დი ნაპოლი (ფლოჩარი 80), რიგანო
მწვრთნელი: ბრუნო ჯორდანო
ლაციო: პერუცი, ოდო, სტენდარდო, კრიბარი, ძაური, მუტარელი, ლედესმა, მუდინგაი (ფირმანი 87), მაური, პანდევი (ფოჯა 85), მაკინვა
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: მუდინგაი, იულიანო, ლედესმა, ოდო
მსაჯი: აიროლდი
20 000 მაყურებელი

**ასკოლი 1:1 ფიორენტინა**

0:1 ტონი (45), 1:1 ბიელანოვიჩი (84)
ასკოლი: პალიუკა, კუდინი, პეკორარი (მინიერი 88), ნასტაზე, პესკე, ფინი, ჯ. ფონტანა, ბუდიანსკი, გალოპა (პერული 56), გუბერტი (პაოლუჩი 70), ბიელანოვიჩი
მწვრთნელი: ნედო სონეტი
ფიორენტინა: ფრეი, პოტენცა (უიფალუში 46), გამბერინი, დაინელი, პასკუალი, ბლაზი, ლივერანი (პაზიენცა 67), დონადელი, მონტოლივო, ტონი (პაცინი 60), მუტუ
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: მუტუ, პესკე, პოტენცა, პაზიენცა, მინიერი
მსაჯი: მაცოლენი
10 000 მაყურებელი

**ტორინო 1:0 სამპდორია**

1:0 როზინა (80პ)
ტორინო: აბიატი, დი ლორეტო, კოფი, ი. ფრანჩესკინი, კომოტო, ბარონე, არდიტო, ბალესტრი, ლაზეტიჩი (აბრუსკატო 71), როზინა (დე აშენტისი 84), სტელონე
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
სამპდორია: ბერტი, კ. ძენონი, სალა, ფალკონე (აკარდი 46), პიერი, მაჯო (რ. ოლივერა 61), ვოლპი, პალომბო, დ. ფრანჩესკინი (ჯ. დელვეკიო 81), კალიარელა, ბონაცოლი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: კოფი, ფალკონე, სტელონე, ი. ფრანჩესკინი, არდიტო, სალა, როზინა, დელვეკიო
მსაჯი: ბანტი
45 000 მაყურებელი

# მასკარაობა სტადიო ოლიმპიკოზე



AFP რომიდან

ვინჩენცო მონტელამ და ფრანჩესკო ტოტიმ საბრალო „კატანია“ მართლაც რომ მასხრად აიგდეს

**ხეს უთქვამს,** ნაჯახი რას დამაკლებდა, ჩემი გვარისა რომ არ ერიოსო (ალბათ ტარს თუ გულისხმობდა): სიმონე პეპე ყოფელი პალერმოელია, რომელმაც კალიარის „სტადიო სანტა ელიაზე“ თამაშის ბოლო წუთზე გაუტანა „პალერმოს“ ის გოლი, რომელმაც სიცილიელები ამ ჩემპიონატში პირველად დაამარცხა. ერთი სიტყვით, ის, რასაც მატერიკი ვერ ახერხებდა, კუნძულმა სარდინიამ მოახერხა — მეორე კუნძული, სიცილია დასცა. მართლაცდა, ნაჯახი რას დამაკლებდა ჩემი გვარისა რომ არ ერიოსო, არა?

ხუმრობა კარგია, მაგრამ პალერმოელთა თავკაცი ფრანჩესკო გვიდოლინი ნამატჩევ პრესკონფერენციაზე ხუმრობის გუნებაზე არ ბრძანდებოდა. მან თქვა:

